მიგრაცია, შემწყნარებლობა და შეუწყნარებლობა

№3. 06

ISSN 1987-7528

ფასი 5 ლარი

ლიბერალი

№64 ოქტომბერი 2015

1737
2015



HEIDELBERGCEMENT
TBILISIMARATHON

დარეგისტრირდი
www.tbilisimarathon.ge

2015 25 ოქტომბერი თბილისიმარათონი

21.1 კმ ნახევარმარათონი
10 კმ გარბენი
500 მ - 1კმ ბავშვთა გარბენი



არ ჩამორჩე! აჰყევი რიტმს!

გახდი საერთაშორისო სპორტული საქველმოქმედო ღონისძიების მონაწილე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 164 / ოქტომბერი 2016

ჟურნალის რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამბების რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, ვახუშტი მენაბდე, დავით ბუხრიკიძე, ერეკლე ურუშაძე, ბუკა შუბლაძე

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

ბიზნესგანვითარების მენეჯერი
ქეთევან ქავთარაძე

კომუნიკაციის მენეჯერი
ელენე ხარაზაშვილი

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამონერის მსურველები დაგვიკავშირდით: 247 02 46

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი".
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ვებგვერდი: www.liberali.ge
საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი".
მისამართი: თბილისი, ნერეთლის ქუჩა. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

წრე

ზუსტად სამი წელი გავიდა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან, რომელმაც მმართველი ძალა ოპოზიციური კოალიციით ჩაანაცვლა. ეს ის დროა, როდესაც ქვეყნის მოსახლეობას მთელი სისავსით უნდა ეგრძნო ამ ცვლილების სიკეთე – დაპირებისამებრ.

ხელისუფლების შეუსრულებელი დაპირებების ჩამოთვლას არ შევუდგები – შორს წაგვიყვანს. იმის აღნიშვნაც კმარა, რომ მეოთხე წლის უკეთესობას, ან ვერავინ გრძნობს, ან მედია ვერ პოულობს ასეთებს.

მძიმე სოციალურ ფონზე დართული ეროვნული ვალუტის გაუფასურება, გართულებული საგარეო ურთიერთობები, არაფორმალური მმართველობა, ინსტიტუციების სისუსტე, მედიაზე ზეწოლის აშკარა მცდელობები... ეს ჩამონათვალი მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ფონზე ნებისმიერი ოპოზიციური ძალისთვის მსუყე ნიადაგი იქნებოდა, თუმცა ამ მხრივაც თავის დაიმედება, რბილად რომ ვთქვათ, რთულია. ქართველი ამომრჩეველი პოლიტიკურ ძალთა რეალისტური ალტერნატივებით განებივრებული ნამდვილად არ არის.

მცირე საშვებულებო პაუზის შემდეგ ჟურნალი „ლიბერალი" მკითხველს უბრუნდება. ამ ნომრის მთავარ თემად არა საქართველოში, მაგრამ მთელ მსოფლიოში ნამდვილად ყველაზე აქტუალური თემა, სირიაში და მის გარშემო განვითარებული მოვლენები შევარჩიეთ. ჩვენი ქვეყნიდან არცთუ ისე მოშორებით მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები, ევროპის ქვეყნების საზღვრებს მიმწყდარი ლტოლვილთა ნაკადი, მასშტაბური ჰუმანიტარული კრიზისი ნამდვილად არ იმსახურებს ყურადღების იმგვარ სიმცირეს, როგორსაც ქართული მედია იჩენს მის მიმართ.

ისიც სათქმელია, რომ კარგი იქნებოდა, ქართული მედიის პრობლემებზე საუბარი ამით შემოიფარგლებოდეს. ტელეეთერებიდან მოხსნილი პოლიტიკური ტოკშოუები, არათანამიმდევრულად აღმოჩენილი ინტერესთა კონფლიქტები საზოგადოებრივ მაუწყებელზე, „ჟურნალისტთა დიდი გადასახლებები" ტელევიზიებიდან ტელევიზიებში და ხელისუფლების ყელში მოზრდილ ძვლად გაჩხერილი „რუსთავი 2"... რა თქმა უნდა, ამ ტელევიზიას ახლავს ფაქტორები, რომლებიც მის მიმართ სოლიდარობისგან განგიზიდავს (მაგალითად ყოფილი პროკურორი, სხვა დროს და სხვა ტელევიზიაში სპეცრაზმით შეჭრის გამამართლებელი) თუმცა ერთი რამ ნათელია, ამგვარი მეთოდებით დამოუკიდებელი (ხელისუფლებისგან) ტელევიზიების წინააღმდეგ ბრძოლა გაკვალული გზაა, რომელსაც მძიმე დასასრულისკენ მივყავართ.

არ ვიცი, პოლიტიკოსები რას ფიქრობენ, მაგრამ მოდარაჯე თვალი შეამჩნევდა – ხალხი დაიღალა გაკვალულ წრეზე დაუსრულებელი ტრიალით.

ზურაბ ვარდიაშვილი, ჟურნალის რედაქტორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

04 **ავტორები**

თვალსაზრისი

06 მიგრაცია, შემწყნარებლობა და შეუწყნარებლობა
ავტორი: უმბერტო ეკო

10 რა უნდა ვუყოთ დამარცხებულ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“
ავტორი: ვახუშტი მენაბდე

უცხოეთი

14 გაქცევა ევროპაში
ავტორი: ლევან ახალაია

ინტერვიუ

18 სისხლიანი მოზაიკა ISIS-ის გარშემო
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი

პოლიტიკა

24 რამდენად ევროპულია „ქართული ოცნების“ ევროპული არჩევანი
ავტორი: დათო გამისონია

განათლება

30 „მე და საზოგადოება“ – რა „ემუქრება“ სამოქალაქო ცნობიერებას?
ავტორი: ლიკა ზაკაშვილი

რეპორტაჟი

34 შემოდგომა გუდამაყარში
ავტორი: სოფო აფციაური

ფოტოპროექტი

44 TBILISI PHOTO FESTIVAL 2015

ქალაქი

58 თბილისის ახალი „კონსტიტუცია“
ავტორი: ეკა მაღალდაძე

ფოტოამბავი

63 წართმეული ტროტუარი
ავტორი: ერეკლე ურუშაძე

კულტურა

64 თეატრი, როგორც სივრცე ფსკერსა და ქარიშხალს შორის
ავტორი: დავით ბუხრიკიძე

ფოტოამბავი

72 ჩემი სახლი
ავტორი:ბუკა შუბლაძე



მთავარი თემა

მიგრაცია, შემწყნარებლობა და შეუწყნარებლობა

შეუწყნარებლობათაგან ყველაზე სახიფათო ის შეუწყნარებლობაა, რომელიც იბადება როგორც ელემენტარული იმპულსების შედეგი, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი დოქტრინის არარსებობის გამო. ამიტომაც მას არც კრიტიკის ობიექტად ქცევა შეუძლია და არც რაციონალური არგუმენტებით შემოფარგვლა. Mein Kampf-ის თეორიული წინამძღვრების უარყოფა ძალიან მარტივი არგუმენტებითაა შესაძლებელი, მაგრამ, თუკი ამ ნაწარმოებში გაცხადებული იდეები უძლებს და კიდევ გაუძლებს ნებისმიერ შეკამათებას, ეს იმიტომ, რომ ის ზღვარგადასულ შეუწყნარებლობაზე დგას, რომლის წინაშეც უძლურია მსგავსი კრიტიკა.

უმბერტო ეკო
33.06

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

რამდენად ევროპულია „ქართული ოცნების“ ევროპული არჩევანი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი კანდელაკმა, რომელიც 2008 წლიდან პარლამენტის დეპუტატია, „ლიბერალს“ დაუდასტურა, რომ მათი ხელისუფლება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას არ აპირებდა. „ჩვენ არ გვინდოდა, რომ ანტიდასავლურ ძალებს კონკრეტული სამიზნე ჰქონოდათ“, – გვითხრა კანდელაკმა, – „ჩვენს დროს ასეთი მიდგომა გვქონდა: ის ნორმები და ფილოსოფია, რაც ანტიდისკრიმინაციულ კანონშია, დანარჩენ კანონმდებლობაში ყოფილიყო გაბნეული. ეს ასე იყო კიდეც“.

დათო გამისონია
გვ.24

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

სისხლიანი მოზაიკა ISIS-ის გარშემო

ISIS ბრწყინვალედ იყენებს სოციალურ ქსელებს, იზიდავს ახალგაზრდებს დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან. მათ დიდ ნაწილს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ნაკლებად აწუხებს, თუმცა ისინი ვერ იქცნენ დასავლეთის ნაწილად. მაგალითისთვის, როდესაც შენ ხარ მეორე თაობის ფრანგი, საფრანგეთის მოქალაქე, თავისუფლად ფლობ ფრანგულს, მაგრამ ფრანგული კულტურა და ტრადიციები შენთვის მაინც უცხოა, თავს გარიყულად გრძნობ, ეძებ შენს თავს, შენს ფესვებს, ამ ვაკუუმს ფუნდამენტალისტური იდეოლოგია ავსებს. იგივე ხდება ევროპის სხვა ქვეყნებში.

ზურაბ ვარდიაშვილი
გვ.18

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

რა უნდა ვუყოთ დამარცხებულ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“

დღეს, ალბათ, გულწრფელი მხარდამჭერებიც კი აღიარებენ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაშვებულ შეცდომებს; იმას, რომ ამ შეცდომებმა ის ზღვარი გადალახა, რომელსაც ადამიანის ღირსების კონცეფცია განსაზღვრავს.

ვახუშტი მენაბდე
გვ.10

ᲩᲔᲮᲝᲩᲘᲢᲔᲓᲘ

შემოდგომა გუდამაყარში

ბოლო სოფელი, რომელშიც მანქანით გადაადგილებაა შესაძლებელი - ჩოხია. აქ, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევენ. ფერდობზე ცხვრები წერტილებად მოჩანს, თითქოს ერთ ადგილზე არიან გაქვავებულები. გზაზე მეცხვარე ძაღლები დაბორიალობენ.

სოფო აფციაური
გვ.34

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

გაქცევა ევროპაში

დასავლეთი დამნაშავედ სირიის მოქმედ ლიდერს მიიჩნევს, ხოლო რუსეთი და ირანი მის მხარდაჭერას მაინც განაგრძობენ.
მილიონობით სირიელი ლტოლვილი უკვე მეოთხე წელია, ზამთარს მეზობელ თურქეთში ან იორდანიაში, ზაათარის ბანაკში, ერაყში ან სულაც ევროპის რომელიმე ქვეყნის საზღვრის სიახლოვეს აღმართულ კედელთან ხვდება.
ამ ფონზე კი ევროპასა და სხვადასხვა ქვეყანაში სირიელი ლტოლვილების მიღებასთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსია მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე კუბასთან გაჩერებულ გერმანელი ებრაელების გემს ჰგავს, რომელიც პასუხისმგებელი პირების მოლოდინში სულ მალე ჩაიძირება.

ლევან ახალაია
გვ.14

ლევან ახალაია

გაქცევა ევროპაში

მსოფლიო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური კრიზისის წინაშე დგას. ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილო აფრიკიდან ევროპაში ყოველდღე ათასობით ლტოლვილი ჩადის. იძულებით გადაადგილებულ პირთა სახიფათო და რთული მოგზაურობა ბებერ კონტინენტზე მტკივნეულ ისტორიულ მოგონებებს აცოცხლებს.

ეკა მაღალდაძე

თბილისის ახალი „კონსტიტუცია“

თბილისს მალე მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმა – ახალი კონსტიტუცია ექნება. აქამდე თბილისში ამა თუ იმ მასშტაბური მშენებლობის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი მისი ქალაქის გენგეგმასთან შეუსაბამობა იყო, რა მოხდება თუკი ახალი გეგმა ამ პროექტების საჭიროებებს მოერგება და არა პირიქით.

დათო გამისონია

რამდენად ევროპულია „ქართული ოცნების“ ევროპული არჩევანი

ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების არაერთგვაროვანი საჯარო განცხადებები გვიბიძგებს, გავიაზროთ, მათ მიღმა ხელისუფლების საქმიანობა პასუხობს თუ არა ჩვენს ევროპულ არჩევანს.

> სოფელი მაქართა. კლდეებზე შეფენილი რამდენიმე სახლი. კახა წიკლაური აქაურია, ცოტა სიტყვაძუნწი. გვიყვება, რომ სკოლა, სადაც ოთხი წელი მხოლოდ ერთი ბავშვი სწავლობდა, მისი სახლის გვერდითაა.

სოფო აფციაური

შემოდგომა გუდამაყარში

ქალაქის დაბინძურებული და ცხელი გარემოდან გაქცევა ერთი სიამოვნებაა. მაგრამ საინტერესოა, რა ხდება მაღალმთიან რეგიონებში, როდესაც იქ მხოლოდ ადგილობრივები რჩებიან, ხშირად გარემოსგან იზოლირებულები, მომარაგებული საკვებით. გუდამაყარშიც ასე ცხოვრობენ, იმედით, რომ მალე დათბება და იქაურობა სხვა ადამიანებსაც გაახსენდებათ.

თამარ კარელიძე

With Peace & Love, Mr. Lennon

„როცა სკოლაში მივედი, მკითხეს: „ვინ გინდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები?“ მე ვუპასუხე: „ბედნიერი“. მითხრეს, რომ კითხვა ვერ გავიგე. მე კი მათ ვუპასუხე: „თქვენ ვერ გაუგეთ ამ ცხოვრებას“.



შემოგვიერთდი განახლებულ

www.liberali.ge_ზე





მიგრაცია, შემწყნარებლობა და შეუწყნარებლობა

უმბერტო ეკო
მწერალი

რამდენიმე წლის წინათ პარიზში მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთათვის გაიხსნა კულტურის მსოფლიო აკადემია და შედგა შესაბამისი წესდება, ე.წ. ქარტია.

ამ ქარტიის ერთ-ერთი პრეამბულა, რომელიც კონკრეტულად აკადემიის სამეცნიერო და მორალურ ამოცანებს განსაზღვრავდა, ჟღერდა ასე: მომავალ ათასწლეულში ევროპაში „კულტურათა“ მსხვილმასშტაბიანი „მეტიზაცია“ დაიწყება.

თუ მოვლენათა მდინარება რაიმე მიზეზით მიმართულებას მკვეთრად არ შეიცვლის (ვინაიდან ყველაფერი შესაძლებელია), ჩვენ მზად უნდა ვიყოთ და ველოდოთ, რომ მომავალ ათასწლეულში ევროპა დაემსგავსება ნიუ-იორკს ან ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანას. ნიუ-იორკი აშკარად უარყოფს melting pot-ის იდეას. აქ გვერდიგვერდ მრავალი კულტურა თანაარსებობს – პუერტორიკოელთა და ჩინელთა, კორეელთა და პაკისტანელთა. რამდენიმე ჯგუფი ერთმანეთსაც კი შეერწყა (იტალიელები – ირლანდიელებს, ებრაელები – პოლონელებს); სხვები არსებობენ სეპარატისტულად: ცხოვრობენ განცალკევებულ კვარტალებში, საუბრობენ სხვადასხვა ენაზე და ინარჩუნებენ განსხვავებულ ტრადიციებს. თუმცა ყველას აერთიანებს საერთო კანონების მორჩილება და ყველა იყენებს სტანდარტულ სამომხმარებლო ენას – ინგლისურს – რომელიც საკმაოდ ცუდად იციან. მინდა, გაითვალისწინოთ, რომ ნიუ-იორკში, სადაც ე.ნ. „თეთრი“ მოსახლეობა ერთ დღეს უმცირესობაში აღმოჩნდება, 42% ებრაელები, 52% კი სულ სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანები ცხოვრობენ, ხოლო, ე.წ. wasps (თეთრი-ანგლოსაქსი-პროტესტანტები) მათ შორის უმცირესობაში არიან (ვინაიდან პოლონელები, იტალიელები, ლათინურამერიკელები, ირლანდიელები და ბევრი სხვა კათოლიკეები არიან).

დღემდე არ შემუშავებულა მიგრაციის ტიპების ფენომენოლოგია, თუმცა ნათელია, რომ მიგრაცია და იმიგრაცია პრინციპულად განსხვავებულია. იმ შემთხვევაში, როცა იმიგრანტები (რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკური გადაწყვეტილებით ჩასახლდნენ) მნიშვნელოვანწილად ითვისებენ ახალი ქვეყნის წეს-ჩვეულებებს, ჩვენ საქმე გვაქვს უბრალო იმიგრაციასთან. საქმე ეხება მიგრაციას, როცა მიგრანტები (რომელთა შემოსვლისგანაც საზღვრების დაცვა შეუძლებელია) მნიშვნელოვნად ცვლიან იმ არეალის კულტურას, რომელშიც ისინი ჩასახლდნენ.

ადგილმდებარეობის გამო ლათინური ამერიკის სიტუაცია ყველაზე ჭრელია. ადგილ-ადგილ ესპანური კოლონები ინდიელებს შეერივნენ. სადღაც, ვთქვათ, ბრაზილიაში, ჯერ კიდეც აფრიკელებთან, ე.წ. „კრეოლური“ ენები და ნაციები დაიბადა. მაშინაც კი, როცა „სისხლის“ რასისტულ გაგებას იყენებ, ძალიან ძნელია გაარკვიო, სადაური ფესვები აქვს მექსიკელსა თუ პერუელს – ევროპული თუ ადგილობრივი – რომ აღარაფერი ვთქვათ იამაიკელზე.

ასე რომ, ევროპას სწორედ ასეთი მომავალი ელოდება. და ყველა რასისტი, ნოსტალგიის მქონე ყველა რეაქციონერი უძლური იქნება ამის წინაშე.

საუბრის გასაგრძელებლად შევეცდები, ერთმანეთისგან გავმიჯნო „იმიგრაციის“ გაგება „მიგრაციის“ გაგებისგან.

იმიგრაცია ეწოდება ერთი ადამიანის (ან ბევრის, რიცხობრივად სტატისტიკურად არარელევანტური) ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლებას (მაგალითად, იტალიელები თუ ირლანდიელები იმიგრირდნენ ამერიკაში, ან თურქები ჩვენს დროში – გერმანიაში). შესაძლებელია იმიგრაციის ფენომენის პოლიტიკური საშუალებებით გაკონტროლება. ის შეიძლება შეიზღუდოს, წახალისდეს,

დაპროგრამდეს ან მიღებული იქნეს როგორც მოცემულობა. მიგრაციებთან დაკავშირებით ყველაფერი სხვაგვარადაა. მშფოთვარე თუ მშვიდობიანი, ის ყოველთვის სტიქიურ უბედურებას წააგავს: მოხდება და მასთან ვერაფერს გააწყობ. ზოგიერთი მიგრაციისას მთელი ხალხი ერთი არეალიდან მეორეში გადასახლდება და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენი ადამიანი დარჩა საწყის ტერიტორიაზე, უფრო მნიშვნელოვანია, რამდენად შეცვალეს მათ კულტურა გადასახლების ადგილას. ცნობილია დიდი მიგრაციები აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. მაშინ კავკასიელმა ხალხმა მნიშვნელოვნად შეცვალა დასავლური ერების კულტურა და ბიოლოგიური მემკვიდრეობითობა. ცნობილია, ეგრეთ წოდებული, „ბარბაროსთა" მიგრაციებიც, რომლებმაც წალეკა რომის იმპერია და წარმოშვა ახალი სამეფოები და ახალი კულტურები, „რომანულ-ბარბაროსულად" თუ „რომანულ-გერმანულად" წოდებული. ამერიკის კონტინენტზე მოხდა ევროპული მიგრაცია, როგორც აღმოსავლეთ ნაპირებიდან სიღრმეებისა და სიღრმეებისკენ, ვიდრე კალიფორნიამდეც კი, ასევე კარიბის კუნძულებიდან და მექსიკიდან სამხრეთითა და სამხრეთით, ვიდრე ცეცხლოვანი მიწის გასწვრივამდე. თუმცა ნაწილობრივ ეს ჩასახლება იყო პოლიტიკური, მე მას მიგრაციას ვუწოდებ, რადგან ევროპიდან ჩამოსულმა თეთრებმა კი არ შეითვისეს ადგილობრივთა კულტურა და წეს-ჩვეულებები, არამედ შექმნეს ახალი საზოგადოება, რომელთან ადაპტირება ადგილობრივებსაც კი (რომლებიც ცოცხლები გადარჩნენ) მოუწიათ.

დღემდე არ შემუშავებულა მიგრაციის ტიპების ფენომენოლოგია, თუმცა ნათელია, რომ

მიგრაცია და იმიგრაცია პრინციპულად განსხვავებულია. იმ შემთხვევაში, როცა იმიგრანტები (რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკური გადაწყვეტილებით ჩასახლდნენ) მნიშვნელოვანწილად ითვისებენ ახალი ქვეყნის წეს-ჩვეულებებს, ჩვენ საქმე გვაქვს უბრალო იმიგრაციასთან. საქმე ეხება მიგრაციას, როცა მიგრანტები (რომელთა შემოსვლისგანაც საზღვრების დაცვა შეუძლებელია) მნიშვნელოვნად ცვლიან იმ არეალის კულტურას, რომელშიც ისინი ჩასახლდნენ.

როგორ უნდა განვასხვაოთ იმიგრაცია მიგრაციისგან, როცა მთელი პლანეტა უწყვეტი გადაადგილებების სივრცედ იქცა? ვფიქრობ, მათი გამიჯვნა შესაძლებელია. როგორც უკვე ითქვა, იმიგრაცია ექვემდებარება პოლიტიკურ კონტროლს, მიგრაცია კი – არა. მიგრაცია ბუნების მოვლენას ჰგავს. იმიგრაციის შემთხვევაში, იმედს ვიტოვებ, შესაძლებელია გადმოსახლებული ადამიანების გეტოში მოქცევა, ადგილობრივებს რომ არ შეერიონ, მიგრაციის შემთხვევაში კი გეტო წარმოუდგენელია და მეტიზაციაც უმართავი ხდება.

ფენომენი, რომლის იმიგრაციად გასაღებასაც ცდილობს ევროპა, სინამდვილეში არის მიგრაცია. მესამე სამყარო აკაკუნებს ევროპის კარზე, აღებს და შემოდის ამ კარში, მაშინაც კი, როცა ევროპა ამის წინააღმდეგია. პრობლემას იმის გადაწყვეტა კი არ წარმოადგენს, შეიძლება თუ არა (პოლიტიკოსებს უყვართ მოკატუნება, თითქოს ისინი ამას არ წყვეტენ) პარიზის სკოლაში პარანჟუთი სიარული ან რამდენი მეჩეთი უნდა აშენდეს რომში; პრობლემა ის გახლავთ, რომ მომდევნო ათასწლეულში (მე არ ვარ წინასწარმეტყველი და ამიტომ ზუსტი თარიღის დასახელებას მოვერიდები) ევროპა იქცევა მრავალრასოვან, გნებავთ, მრავალფეროვან კონტინენტად. მოგვწონს ეს ჩვენ, თუ – არა, ეს ასე მოხდება.

კულტურათა ამ თავმოყრამ (იმავე შეტაკებამ) შესაძლოა სისხლიან შედეგებამდე მიგვიყვანოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული დოზით ეს შედეგები

ავიღოთ ამერიკული პოლიტიკური კორექტულობის შემთხვევა. ეს პრინციპი მოწოდებულია ტოლერანტობისა და ნებისმიერი განსხვავებულობის – რელიგიურის, რასობრივისა თუ სექსუალურის – აღიარების დასამკვიდრებლად. ამასთან ერთად ის ხდება ფუნდამენტალიზმის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც რიტუალის რანგში აჰყავს ყოველდღიური საურთიერთობო ენა და შინაარსზე მეტად უპირატესობას ფორმას ანიჭებს – შესაძლოა ბრმების დისკრიმინაცია, ოღონდ დელიკატურად უნდა ვუწოდოთ მათ „ცუდადმხედველნი“; განსაკუთრებით არ შეიძლება იმათი დანდობა, ვინც უარი თქვა პოლიტიკური კორექტულობის კანონების დაცვაზე. მათი დისკრიმინაცია შეიძლება იმდენჯერ, რამდენჯერაც მოისურვებთ.

იქნება გარდაუვალი, თვალსაჩინო და გაგრძელდება დიდხანს, თუმცა რასისტები (თეორიის მიხედვით) მომაკვდავ რასას უნდა წარმოადგენდეს. რომელიღაც რომაელი პატრიცია ვერ აიტანდა, რომ რომის მოქალაქეები გამხდარიყვნენ გალებიც, სამრატებიც, ებრაელებიც (მაგ. როგორიცაა წმინდა პავლე) და რომ იმპერატორის ტახტზე პრეტენზიის უფლება აფრიკელებსაც კი ჰქონოდათ (ბოლოს და ბოლოს, სად აღარ გაჩნდნენ ისინი). ეს პატრიცია დღეს დავიწყებულია. ისტორიამ მას ფეხები შეაწმინდა. რომაული ცივილიზაცია მეტისთა ცივილიზაციაა. რასისტები იტყვიან, რომ ამიტომაც დაინგრა ის, თუმცა მის დანგრევას ხუთი ასწლეული დასჭირდა. მე ვიტყოდი, რომ მსგავსი პროგნოზი ჩვენც გვაძლევს უფლებას, დავსახოთ სამომავლო გეგმები.

უცხოს ან უცნობი საგნის მიმართ შეუწყნარებლობა ბავშვს იმავე დოზით აქვს, რა დოზითაც მისთვის სასურველი საგნების დაპატრონების ინსტინქტი. ბავშვს ნაბიჯ-ნაბიჯ ასწავლიან მოთმინებას, ისევე, როგორც სხვისი საკუთრების პატივისცემას. ამას ასწავლიან გაცილებით ადრე, ვიდრე ის საკუთარი სფინქტერის კონტროლს ისწავლის. სამწუხაროდ, სხეულის მართვას ბოლოს და ბოლოს ისწავლის ყველა, ტოლერანტობა კი განათლების მუდმივ ხარვეზად რჩება უფროსებთანაც, რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში ხალხის გამუდმებული ტრავმის მიზეზი სწორედ განსხვავებულობა რჩება. მეცნიერები ხშირად სწავლობენ განსხვავებულობის პრობლემებს, თუმცა ნაკლებად არიან დაკავებულები ამ ზღვარგადასული შეუწყნარებლობის შესწავლით, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ ექვემდებარება არავითარ განმარტებასა თუ კრიტიკულ მიდგომას.

ამასთანავე განსხვავებულობის შესახებ სწავლება სულაც არ ხდება ზღვარგადასული შეუწყნარებლობის მიზეზი. პირიქით, ეს დოქტრინები თავიანთი არსით ამარცხებს დასაბამიდან არსებულ

უფორმო შეუწყნარებლობას. ავიღოთ ჯადოქრებზე ნადირობა. ის არა ბნელი საუკუნეების, არამედ ახალი დროის ნაყოფია. ტრაქტატი Malleus Maleficarum ამერიკის აღმოჩენამდე ცოტათი ადრე დაიწერა – ფლორენციული ჰუმანიზმის თანამედროვეა. ჟან ბოდენის Demonomanie des sorciers აღორძინების პერიოდის ადამიანის კალმის ნაყოფია, რომელიც კოპერნიკის შემდგომ ცხოვრობდა. არ ვაპირებ იმის ახსნას, თუ რატომ მოუძებნა თანამედროვე სამყარომ ჯადოქრებზე ნადირობას თეორიული დასაბუთება. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ სწავლების განმტკიცებას ჯადოქრების წინააღმდეგ ხალხში წინასწარ შექმნილმა წარმოდგენამ შეუწყო ხელი. ის გვხვდება ძველ კლასიციზმში (ჰორაციუსთან), ლანგობარდის ედიქტსა და თომა აქვინელის Summa teologica-ში. ჯადოქრების არსებობას ითვალისწინებდა ყოველდღიური რეალობა. სწორედ ისევე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ჯიბის ქურდების არსებობას. ამ ხალხური წარმოდგენების გარეშე ვერ შეიქმნებოდა ჯადოქრობის მეცნიერული თეორია და არ დამკვიდრდებოდა ჯადოქრობის დევნის პრაქტიკა.

ავიღოთ ამერიკული პოლიტიკური კორექტულობის შემთხვევა. ეს პრინციპი მოწოდებულია ტოლერანტობისა და ნებისმიერი განსხვავებულობის – რელიგიურის, რასობრივისა თუ სექსუალურის – აღიარების დასამკვიდრებლად. ამასთან ერთად ის ხდება ფუნდამენტალიზმის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც რიტუალის რანგში აჰყავს ყოველდღიური საურთიერთობო ენა და შინაარსზე მეტად უპირატესობას ფორმას ანიჭებს – შესაძლოა ბრმების დისკრიმინაცია, ოღონდ დელიკატურად უნდა ვუწოდოთ მათ „ცუდადმხედველნი"; განსაკუთრებით არ შეიძლება იმათი დანდობა, ვინც უარი თქვა პოლიტიკური კორექტულობის კანონების დაცვაზე. მათი დისკრიმინაცია შეიძლება იმდენჯერ, რამდენჯერაც მოისურვებთ.

XIX საუკუნეში იბადება ფსევდომეცნიერული ანტისემიტიზმი, და მხოლოდ ჩვენს საუკუნეში იღებს ის ტოტალიტარული ანთროპოლოგიისა და გენოციდის ინდუსტრიალური პრაქტიკის სახეს. თუმცა ის არ წარმოიშვებოდა, საუკუნეების სიღრმეებიდან, ეკლესიის მამამთავართა უძველესი დროიდან რომ არ დაწყებულიყო ანტიიუდაისტური პოლემიკა და ყველგან, სადაც გეტო არსებობდა, მდაბიო ხალხში არ გამჯდარიყო მოქმედი ანტისემიტიზმი. წინა საუკუნის დასაწყისის ებრაელთა შეთქმულების ანტიიაკობინურმა თეორიებმა მასებში ანტისემიტიზმი კი არ ჩანერგა, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა ზიზღი, რომელიც უკვე არსებობდა განსხვავებულობის მიმართ.

შეუწყნარებლობათაგან ყველაზე სახიფათო ის შეუწყნარებლობაა, რომელიც იბადება როგორც ელემენტარული იმპულსების შედეგი, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი დოქტრინის არარსებობის გამო. ამიტომაც მას არც კრიტიკის ობიექტად ქცევა შეუძლია და არც რაციონალური არგუმენტებით შემოფარგვლა. Mein Kampf-ის თეორიული წინამძღვრების უარყოფა ძალიან მარტივი არგუმენტებითაა შესაძლებელი, მაგრამ, თუკი ამ ნაწარმოებში გაცხადებული იდეები უძლებს და კიდევ გაუძლებს ნებისმიერ შეკამათებას, ეს იმიტომ, რომ ის ზღვარგადასულ შეუწყნარებლობაზე დგას, რომლის წინაშეც უძლურია მსგავსი კრიტიკა.

ზღვარგადასული შეუწყნარებლობის საფუძველი ჩაკეტილ წრეთა კატეგორიაში უნდა ვეძებოთ, რომელსაც შემდგომ ყველა რასისტული დოქტრინა ითვისებს. ეს ჩაკეტილი წრე საოცრად შემზარავია, რადგან ის ყოველ წუთს ნებისმიერ ჩვენგანს ხიბლავს. საკმარისია, რომელიღაც ქვეყნის რომელიღაც აეროპორტში აგვწაპნონ ჩემოდანი, შინ დაბრუნებულები მტკიცედ ვიქნებით დარწმუნებულები იმაში, რომ იქაურ ადამიანებს არაფერში უნდა ვენდოთ.

ვასწავლოთ შემწყნარებლობა ზრდასრულ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს ტყვიებს ესვრიან და ამას საფუძვლად მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკური და რელიგიური ხასიათის მიზეზები უდევს – ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ დრო დაკარგო. დრო დაკარგულია. ეს ნიშნავს, რომ ველურ შეუწყნარებლობასთან ბრძოლა მისი ფესვებიდან უნდა დავიწყოთ, ვიზრუნოთ მასზე ყველაზე ფაქიზი ბავშვობიდან, სანამ ჩამოყალიბებულა, გამხდარა ტლანქი, უხეში და შეუღწევადი.

რუსულიდან თარგმნა ნათია ორმოცაძემ

რა უნდა ვუყოთ დამარცხებულ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“

ვახუშტი მენაბდე
იურისტი

დღეს, ალბათ, გულწრფელი მხარდამჭერებიც კი აღიარებენ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაშვებულ შეცდომებს; იმას, რომ ამ შეცდომებმა ის ზღვარი გადალახა, რომელსაც ადამიანის ღირსების კონცეფცია განსაზღვრავს.

ამავდროულად არსებობს მოსაზრება, რომ ცხრაწლიანი „ინციდენტი“ ამოწურულია; რომ პოლიტიკური ცხოვრება – ისე, თითქოს არაფერი მომხდარა – ახალი ფურცლიდან უნდა დავიწყოთ; რომ ყოფილმა მმართველმა ელიტამ 2012 წლის ოქტომბერში უკვე არჩევნების შედეგებით მიიღო პასუხი თავის შეცდომებზე; ამომრჩევლის განწყობა იყო ის, რამაც წერტილი დაუსვა მოვლენებს.

ეს პოზიცია ბუნებრივად აჩენს კითხვებს: მიიჩნევა თუ არა საკმარისად და ადეკვატურად ამომრჩევლის მხარდაჭერის დაკარგვა, როგორც პასუხი რეჟიმზე, იმაზე, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მმართველობის პერიოდში გააკეთა? იმსახურებს თუ არა ჩვენგან რეჟიმის ქმედებები უფრო მკვეთრ რეაქციას, ვიდრე არჩევნებში პოზიციის მათ საწინააღმდეგოდ დაფიქსირებაა?

თუ ამ კითხვებზე პასუხი დადებითია, და ეს უეჭველად ასეა, მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ? უნდა აღვადგინოთ თუ არა სამართლიანობა, სადაც სამართლიანობის აღდგენა მკაცრი სამართლებრივი შედეგების დადგომას ნიშნავს? მინდა, მკაფიო იყოს ის, რომ ვსაუბრობ უფლებადამრღვევი რეჟიმის მიმართ გასატარებელ ღონისძიებებზე და არა უფლებადარღვეულის უფლებებში აღდგენის მექანიზმებზე, რაც პირველისგან პირდაპირ არ გამომდინარეობს. სასჯელი, უმთავრესად, სოციალური ერთობის პასუხია დამნაშავის მიმართ და არა მსხვერპლის დაკმაყოფილება. ამ უკანასკნელის ინტერესის დაკმაყოფილება, მცირე გამონაკლისის გარდა, უმთავრესად დამნაშავის იდენტიფიცირებასა და კომპენსირებაში გამოიხატება.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ლაპარაკია რეჟიმის შეცვლასა და პოსტრევოლუციურ სტრატეგიაზე და არა სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი კანონდარღვევების რუტინულ შემთხვევებზე. ეს ორი რამ ერთმანეთისგან განსხვავდება. პირველ შემთხვევაში რეჟიმის ლოგიკა მეტ-ნაკლები ინტენსივობით ადამიანის ინსტუმენტალიზაციაა, მეორე შემთხვევაში იგივე ქმედება – დევიაცია.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ლაპარაკია რეჟიმის შეცვლასა და პოსტრევოლუციურ სტრატეგიაზე და არა სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი კანონდარღვევების რუტინულ შემთხვევებზე. ეს ორი რამ ერთმანეთისგან განსხვავდება. პირველ შემთხვევაში რეჟიმის ლოგიკა მეტ-ნაკლები ინტენსივობით ადამიანის ინსტუმენტალიზაციაა, მეორე შემთხვევაში იგივე ქმედება – დევიაცია.

სწორედ ამ მეორე შემთხვევაში ერთმნიშვნელოვანია, რომ ამგვარი დევიანტების მიმართ უნდა გატარდეს ჩვეულებრივი სამართლებრივი ღონისძიებები. ეს კანონიერ ჩარჩოში დააბრუნებს გადახვევას, რითაც ნორმალური სოციალური ცხოვრება აღდგება. რეჟიმის შემთხვევაში ჩვენ რაღაც სპეციფიკურთან გვაქვს შეხება, ისეთთან, რასაც ორდინარულ პასუხებს ვერ გავცემთ. აქ პირიქით არის საქმე, ადამიანის ღირსების შელახვა წესია, მისი აღიარება – შემთხვევითობა. რეჟიმი საკუთარ მსახურებს არ უტოვებს სხვა შანსს, აქ ბოროტება ბანალურდება. ასეთ დროს რთულია, იპოვო დამნაშავე, რომელსაც გონივრულად დაუსაბუთებდი, რომ ექსკლუზიურად მიუძღვის ბრალი მომხდარში. რეჟიმი პოლიტიკური ინციდენტია და არა სამართლებრივი. ამდენად, არასწორ

გზაზე დგება ყველა, ვინც ცდილობს, ლეგალისტური ამოხსნა მოუძებნოს არსებულ შემთხვევას. ეს მცდელობები ორ შედეგს მოიტანს: ან დისკრიმინაციას, ან პოლიტიკურ დევნას. ამის მიზეზი ერთია, პოლიტიკურ შემთხვევას მხოლოდ იურიდიული საზომებითა და მექანიზმებით ვერ მივუდგებით.

ძალადობრივ აქტში, ხოლო სამართლიანობის აღდგენა ნებისმიერ შემთხვევაში ძალადობრივი აქტია, მოძალადე უნდა გამოვკვეთოთ. ნებისმიერ ჩვენგანს ძალადობრივი აქტი ძრწოლას გვგვრის, მაგრამ ფუნდამენტურ შეცდომას ვუშვებთ, როდესაც მოვლენების აღქმისას საყოველთაოდ გავრცელებულ შაბლონს ვიყენებთ და გვგონია, რომ ჩვენი ემოციები მაინცდამაინც მსხვერპლისკენ არის მიმართული. თუმცა ძირისძირში თუ ჩავყვებით, დავინახავთ, რომ ძალადობის აქტში შემჩნევას იმსახურებს არა მხოლოდ ის, თუ რას უშვრება მოძალადე მსხვერპლს, ანაც რას უშვრება ძალადობა მას, ვის მიმართაც არის ეს ძალადობა მიმართული, არამედ: რას უშვრება თავს მოძალადე; უპირველეს ყოვლისა, რას უშვრება ძალადობა მოძალადეს.

თეოდორ ადორნო, რომელმაც თავის თავზე განიცადა ჰიტლერის რეჟიმი, მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული ნაცისტური გერმანიის სამომავლო ბედის საკითხს ასე უყურებდა: „ორგვარი პასუხის გაცემა შემიძლია. ერთი: არაფრის ფასად არავითარ შემთხვევაში არ მინდა, ვიყო ჯალათი, ან კანონიერი უფლება მივანიჭო ჯალათებს და მეორე: არავის, მით უმეტეს, კანონის აპარატით არ მსურს, შევუშალო ხელი, ვინც კი მომხდარზე შურს იძიებს.“

ამგვარად, როდესაც რეჟიმის გასამართლებასა და სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, უნდა ვაღიაროთ, რომ თუ გვინდა თანაზომიერი პასუხი გავცეთ წარსულის ქმედებებს, თუ გვინდა, ჩვენი რეაქცია გასაგები იყოს მოძალადისთვის, მოგვიწევს, ვილაპარაკოთ მისსავე ენაზე, ვილაპარაკოთ მისივე მეთოდებით, თუმცა ამით ვკარგავთ საკუთარი თავის დანახვის შანსს და ვერ ვემიჯნებით რეჟიმს. ამ დროს წრეზე ვიწყებთ სიარულს.

ამ წრის გარღვევა მხოლოდ დრამატული არჩევანით არის შესაძლებელი, არჩევანით შეფასებასა და სამაგიეროს მიზღვას შორის.

თეოდორ ადორნო, რომელმაც თავის თავზე განიცადა ჰიტლერის რეჟიმი, მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული ნაცისტური გერმანიის სამომავლო ბედის საკითხს ასე უყურებდა: „ორგვარი პასუხის გაცემა შემიძლია. ერთი: არაფრის ფასად არავითარ შემთხვევაში არ მინდა, ვიყო ჯალათი, ან კანონიერი უფლება მივანიჭო ჯალათებს და მეორე: არავის, მით უმეტეს, კანონის აპარატით არ მსურს, შევუშალო ხელი, ვინც კი მომხდარზე შურს იძიებს.“

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ადორნოს არჩევანის გაკეთება არ უნდა. თითქოს, არ უნდა, იცოდეს, რა ხედვა აქვს საკითხის მიმართ, პოზიციის დაფიქსირებას

გაურბის. თითქოს, არ სურს საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ან უარესი, იცის თავისი სურვილები, აცხადებს მას, მაგრამ სხვისი ხელით უნდა ნარის მოგლეჯა. სინამდვილეში კარგად ესმის, რომ მისი ეს პოზიცია წინააღმდეგობრივი და არადამაკმაყოფილებელია. თუ კანონით ხელს არ შეუშლი შურისგებას, განა ეს ჯალათებისთვის დასჯის კანონიერი უფლების მინიჭებას არ ნიშნავს? ან თუ შურისძიებას წინ არ აღუდგები, მაშინ, თავადაც ხომ მიგიძღვის წვლილი ამ შურისძიებაში?

აქ ადორნოს სურს, სასაცილოდ აიგდოს, როგორც სამართლიანობის აღდგენის თეორია, ისე მისი განხორციელების შესაძლებლობა. ადორნო ჭვრეტს ამის შეუძლებლობას და ამბობს, რომ შეცდომა შესაძლოა არა ამგვარ პასუხში, არამედ თავად დასმულ კითხვაში იყოს. რადგან „სამართლიანობის აღდგენა“, ყოველ შემთხვევაში იმ აზრით, რა აზრითაც ის ხურდის დაბრუნებას გულისხმობს, დანაშაულებრივი ქმედებების დაუსრულებელი აქტების ერთობლიობაა. ყოველი „სამართლიანობის აღდგენა“ წარმოშობს რეალობას, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს „სამართლიანობის აღდგენას“, ის – ხელახლა და ასე დაუსრულებლად.

ამ პირობებში ერთადერთი ადეკვატური ნაბიჯია, გავემიჯნოთ ტრადიციულ და ნაცად გზებს. შევაფასოთ რეჟიმის, როგორც იურიდიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით დანაშაულებრივი ქმედებები, მაგრამ ისე, რომ უარი ვთქვათ ცალკეული სუბიექტებისთვის სამართლებრივ შედეგებზე. ეს არ ნიშნავს რეჟიმის მიმართ რადიკალური პოზიციების დემონიზებასა და უარყოფას, დამოკიდებულებისა და ცნობიერი მიმართების სიმკვეთრეზე უარის თქმას. ეს ნიშნავს ქმედების იმგვარი მექანიზმების გამოყენებას, რაც არ იქნება გაგებული, როგორც სამაგიეროს მიზღვა. ეს არის სისხლის აღების ჯაჭვის არაბუნებრივი წყვეტა. ბოლოს და ბოლოს რომელიმე მხარემ ხელი უნდა აიღოს იმ ხერხზე, რისი შედეგიც, საბოლოო ჯამში, ნულოვანია და რამე სხვა მოიფიქროს, მაგრამ ეს ყოველთვის დატოვებს მასში დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებას. თუმცა ეს მსხვერპლია, მომავალ ჯანსაღ სოციალურ მიმართებებს რომ ეწირება.

ამგვარი ხედვა მოითხოვს

ამგვარი ხედვა მოითხოვს როგორც რევანშისტულ, ისე იგნორანტულად შემწყნარებლურ პოზიციებზე უარის თქმას. ჩვენ ერთმნიშვნელოვნად უნდა განვაცხადოთ, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კათარზისისთვის საკმარისი წინაპირობაა არჩევნებში დამარცხება. ამავდროულად, მცდარია მოსაზრებაც, რომელიც ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ იმავე მიზნით ახალი რეჟიმის რეპრესიული მექანიზმის მიმართვას გვისახავს.

როგორც რევანშისტულ, ისე იგნორანტულად შემწყნარებლურ პოზიციებზე უარის თქმას. ჩვენ ერთმნიშვნელოვნად უნდა განვაცხადოთ, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კათარზისისთვის საკმარისი წინაპირობაა არჩევნებში დამარცხება. ამავდროულად, მცდარია მოსაზრებაც, რომელიც ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ იმავე მიზნით ახალი რეჟიმის რეპრესიული მექანიზმის მიმართვას გვისახავს. წინა მმართველმა გუნდმა უნდა იცოდეს, რომ მათი პოლიტიკაში არსებობა მოქალაქეების არჩევანია და არა მათი დამსახურებული ადგილი, რომ მათ ნებით თქვეს უარი ამ გზაზე და არა სამართლიანობის იძულებით, რომ ჩვენი ამგვარი პასუხის მიზეზი ჩვენივე თავია, მოქალაქეები ამას საზოგადოებრივი განვითარების მომავლისთვის ვაკეთებთ.

„დაზოგვის კულტურა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბანკო სექტორის განვითარებისთვის“

ინტერვიუ „პროკრედიტ ბანკის“ გაფართოებული მენეჯმენტის წევრ თამარ თხელიძესთან.

31 ოქტომბერს მსოფლიო დაზოგვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ყოველწლიურად ამ დღესთან დაკავშირებით მთელ მსოფლიოში ბანკები ერთვებიან კამპანიაში, რომელიც მომხმარებლისთვის დაზოგვის კულტურის მნიშვნელობის გაცნობას ისახავს მიზნად. „პროკრედიტ ბანკი“ უკვე წლებია, აქტიურად მონაწილეობს ამ კამპანიაში. მოსახლეობაში დაზოგვის კულტურის განვითარებასა და ამ დღესთან დაკავშირებით დაგეგმილ აქტივობებზე „პროკრედიტ ბანკის“ გაფართოებული მენეჯმენტის წევრი, თამარ თხელიძე საუბრობს.

2012 წელს ეროვნული ბანკის ინიციატივა იყო, რომ ბაზარზე არსებული ყველა კომერციული ბანკი დაზოგვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კამპანიაში ჩართულიყო. „პროკრედიტ ბანკი“, როგორც საერთაშორისო ჯგუფის წევრი, მანამდეც აღნიშნავდა ამ დღეს, თუმცა, ეროვნული ბანკის ინიციატივის შემდეგ უფრო აქტიურად ჩავერთეთ ამ კამპანიაში, ვინაიდან ეს ძალიან ახლოს იყო ჩვენს ღირებულებებსა და სტრატეგიასთან.

რა მნიშვნელობა აქვს მომხმარებელში დაზოგვის კულტურის განვითარებას?

დაზოგვის კულტურის ხარისხი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და ბანკის კლიენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. სესხის აღება დღეს ძალიან მარტივია, თუმცა ვფიქრობთ, რომ მოსახლეობა ფულის სესხებაზე კი არ უნდა იყოს ორიენტირებული, პირიქით, თანხის დაზოგვა და დაგროვება უნდა დაიწყოს. დღესდღეობით, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური ფონი საკმაოდ რთულია, მოსახლეობას ჭარბი ვალდებულებისგან დასაცავად უმჯობესია, თანხის დაზოგვა და შემდგომ უკვე მისი საჭიროებისამებრ გამოყენება შევთავაზოთ. მაგალითისთვის მოვიყვანოთ გერმანია, სადაც დაზოგვას პატარებს ბავშვობიდანვე აჩვევენ. 31 ოქტომბერი სწორედ ის დღეა, როდესაც ბავშვები მიდიან ბანკში და მშობლების თანდასწრებით შენატანს აკეთებენ ანაბარზე. ეს მათ დაზოგვის ჩვევას უღვივებს, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვებათ.

რა აქტივობებით ერთვება „პროკრედიტ ბანკი“ დაზოგვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კამპანიაში?

დაზოგვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კამპანიის ფარგლებში ეწყობა კლიენტებთან საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები. თითოეული თანამშრომელი აქტიურად ცდილობს აუხსნას კლიენტებს დაზოგვის კულტურის მნიშვნელობა და სარგებელი. მაგალითად, გასულ წელს ახალგაზრდა თაობისთვის დაზოგვის კულტურის გაცნობის მიზნით, სხვადასხვა უნივერსიტეტში გვქონდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ვხედავთ ახალგაზრდების ინტერესს და პოზიტიურ განწყობას დაზოგვის დღესთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ „პროკრედიტ ბანკი“ დიდ ყურადღებას უთმობს ამ მიმართულებით თანამშრომლების გადამზადებასა და მათთვის ტრენინგების გამართვას. ვინაიდან სწორედ მათ აქვთ კლიენტებთან კომუნიკაცია, მნიშვნელოვანია, მომხმარებლისთვის კვალიფიციური რჩევის მიცემა შეძლონ. მომხმარებელთან საუბრისას ჩვენ ყოველთვის საგანგებოდ აღვნიშნავთ, თუ რას ხმარდება მათ მიერ ანაბარზე შემოტანილი თანხა.

„პროკრედიტ ბანკი“ ორიენტირებულია ბიზნესის დაფინანსებაზე, ამიტომ მომხმარებლის მიერ შემოტანილი თანხა პირველ რიგში სწორედ ბიზნესის დაკრედიტებას ხმარდება. ჩვენი ბანკის მეანაბრეებმა თამამად შეუძლიათ თქვან, რომ მათ მიერ დაზოგილი თანხა, ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს და ეკონომიკის წინსვლაში ირიბად შეტანილი წვლილია. ეს, ფაქტობრივად, ფინანსური ციკლია, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკისათვის. მაქსიმალურად ვცდილობთ, მომხმარებელს ეს პოზიტიური გავლენა დავანახოთ. გარდა ბიზნესმიმართულებისა, ანაბრებზე განთავსებული თანხა ეკო სესხების პორტფელის განვითარებას უწყობს ხელს, გარემოზე ზრუნვა კი, „პროკრედიტ ბანკის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია.

რა სიახლეს სთავაზობთ წელს მომხმარებელს ამ დღის აღსანიშნავად?

წელს, კამპანიის ფარგლებში, ჩვენს კლიენტებთან, ტრადიციისამებრ, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართება. ამასთანავე, გვაქვს საინტერესო შეთავაზება – ყოველი მომხმარებელი, რომელიც ოქტომბრის ბოლო კვირაში გახსნის ანაბარს, მიიღებს გარკვეულ საჩუქარს „პროკრედიტ ბანკისგან“.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

რეკლამა

გაქცევა ევროპაში

1939 წელს, 13 მაისს ჰამბურგის ნავსადგურიდან კუბისკენ ხომალადი „სენტ ლუისი“ დაიძრა. ბორტზე მყოფი 900-ზე მეტი გერმანელი ებრაელი „ბროლის ღამის“ შემდეგ ნაცისტებისაგან თავის დასაღწევად „თავისუფლების კუნძულზე“ გაემგზავრა.

ლევან ახალაია

„ბანწირულთა ცურვა ევროპისკენ“

ბილეთი საკმაოდ ძვირი ღირდა, რის გამოც თითოეული ოჯახიდან გემზე მხოლოდ ერთი ადამიანი მოხვდა. 14-დღიანი მოგზაურობის შემდეგ „სენტ ლუისი“ ჰავანის სანაპიროს მიადგა, თუმცა კუბის მთავრობამ, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე, ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო, საიმიგრაციო პოლიტიკა გაამკაცრა, მგზავრებს ხმელეთზე გადასვლა აუკრძალა. ებრაელი ლტოლვილების ლოდინი 4 დღე გაგრძელდა, რის შემდეგაც გერმანელ კაპიტანს, გუსტავ შრედერს, კუბის ტერიტორიული წყლების დატოვება მოსთხოვეს. ამის შემდეგ გემმა ფლორიდის სანაპიროსკენ გაცურა, თუმცა ხომალდს გეზის შეცვლა სანაპირო დაცვის სამსახურმა გამაფრთხილებელი გასროლით აიძულა. 900-ზე მეტი ლტოლვილი ებრაელი იძულებული გახდა, უკან, ევროპაში დაბრუნებულიყო. მათგან 600 ჰოლოკოსტის დროს დაიღუპა. ამ მოვლენებიდან 76 წლის შემდეგ მსოფლიო კვლავ საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას. ამჯერად ფეშენებელური საკრუიზო ლაინერი „სენტ ლუისი“ მცირე ზომის ნავებმა და ხელნაკეთმა ტივებმა ჩაანაცვლა, რომლებითაც ომით დაღლილი ათასობით ლტოლვილი ხან იტალიური სიცილიის და ხანაც ბერძნული ლესბოსის სანაპიროზე ჩასვლას ცდილობს. გაეროს ცნობით, გლობალური მასშტაბით იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ უკვე მიაღწია თითქმის 60 მილიონს, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. განსაკუთრებით რთული ვითარებაა სირიაში, სადაც 4-წლიანი კონფლიქტის შედეგად სახლის მიტოვება 11 მილიონზე მეტ ადამიანს მოუხდა. მათგან 4 მილიონზე მეტმა უკვე დატოვა სამშობლო. ევროპის ცენტრში აღმართული მავთულხლართები, საზღვრების სიახლოვეს სახელდახელოდ მოწყობილი ლტოლვილთა ბანაკები, იძულებით გადაადგილებულ პირთა რიგები მატარებლებთან – ყველაფერი ეს წარსულის მძაფრ მოგონებებს აღძრავს.

„გაქცევა ევროპაში“

2015 წლის დასაწყისიდან დღემდე ევროკავშირში უკვე ჩავიდა ნახევარი მილიონი ლტოლვილი. მათი უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის კონფლიქტებით მოცული ქვეყნებიდანაა. გემებით, მატარებლებით, სატვირთო მანქანებით – ყველა მათგანი ცდილობს, ევროკავშირის იმ ქვეყნებში ჩავიდეს, სადაც თავშესაფარს უფრო იოლად მიიღებს. ასეთი კი მათთვის პირველ რიგში გერმანია და სკანდინავიის ქვეყნებია. სულ რაღაც ერთი თვის წინ ბერლინში ამბობდნენ, რომ წლის ბოლომდე 800 ათასს ლტოლვილს ელოდებოდნენ, დღეს ეს რიცხვი 1,5 მილიონამდეა გაზრდილი. მთავრობაში შიშობენ, რომ თუ ეს პროგნოზი გამართლდება, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბინავება და დახმარებით უზრუნველყოფა დაგეგმილზე გაცილებით მეტ თანხას მოითხოვს. ევროკავშირში ლტოლვილების ნაკადის შემცირებაზე მსჯელობა უკვე აქტიურად მიმდინარეობს. ერთ-ერთ ვარიანტად თურქეთის დახმარება განიხილება. კერძოდ, საუბარია საბერძნეთის საზღვართან ახლოს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრების გახსნაზე, თუმცა თურქეთი, რომელმაც სირიაში დაპირისპირების დაწყებიდან დღემდე 2 მილიონი ლტოლვილი უკვე მიიღო, სანაცვლოდ ბრიუსელისაგან ქურთებთან დაკავშირებულ საკითხზე კომპრომისებს მოითხოვს. ლტოლვილების რეგისტრაციის დასაჩქარებლად განიხილება ევროკავშირის შიგნით ე.წ. სატრანზიტო ზონების შექმნაც. გეგმის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადებს გერმანიისა და ავსტრიის საზღვარზე გახსნილ პუნქტებში განიხილავენ. თუმცა, შენგენის ხელშეკრულების მიხედვით, ასეთი ზომების მიღება მხოლოდ დროებით არის შესაძლებელი. ბერლინის მხრიდან კიდევ ერთი „გამაფრთხილებელი გასროლა“ თავშესაფრის მისაღებად საჭირო კრიტერიუმების გამკაცრება იყო. ახალი რეგულაციები ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩასულ პირთა დაჩქარებულ დეპორტაციას ითვალისწინებს. ამავე დროს გაფართოვდა იმ ქვეყნების სია, რომელში ცხოვრებასაც ბერლინში უსაფრთხოდ მიიჩნევენ და, შესაბამისად, ამ სახელმწიფოების მოქალაქეებს გერმანიაში თავშესაფრის მიღების ნაკლები შანსი ექნებათ. მცირდება სოციალური დახმარებაც. თანხის ნაცვლად კი ლტოლვილები აუცილებელ პროდუქტებს და ნივთებს მიიღებენ. გამკაცრებული წესები ნოემბრიდან უნდა შევიდეს ძალაში.

„მერკელის ფაქტორი“

მეორე მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი პერიოდის საშინელება გერმანაში კარგად ახსოვთ. ჰოლოკოსტთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული „პოტსდამის კონფერენციის“ დასრულების შემდეგ განვითარებული მოვლენები იყო. ომში დამარცხების შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, იძულების წესით, 12-დან 14 მილიონამდე გერმანელი გაასახლეს. სხვადასხვა ცნობით, დაიღუპა 600 ათასიდან 2 მილიონამდე ადამიანი. წარსულის გათვალისწინებით, ალბათ, სწორედ ამიტომ გერმანია ერთ-ერთია ევროპის იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც ლტოლვილები დაუბრკოლებლად მიიღეს. 3 ოქტომბერს, გერმანიის გაერთიანების 25-ე წლისთავზე პრეზიდენტმა, იოახიმ გაუკმა, პარალელები სწორედ ლტოლვილების კრიზისთან გაავლო და აღნიშნა, რომ 1990 წლის

მსგავსად „გერმანული საზოგადოება კიდევ ერთი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა, განსხვავებით იმ დროისგან, დღეს ერთად ცხოვრება იმათ მოუწევთ, ვინც ერთად არასდროს ყოფილა". ლტოლვილების მიმართ გულისხმიერი იყო გერმანიის კანცლერიც. მაშინ, როდესაც ცენტრალური ევროპის ქვეყნების ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებაზე უარს ამბობდა, ბერლინმა სირიელები ნებაყოფლობით შეიფარა. ამის გამო, გერმანულმა „შპიგელმა" ჟურნალის გარეკანზე მერკელი დედა ტერეზასაც კი შეადარა. მიუხედავად ამისა, როგორც სექტემბრის ბოლოს ARD-Deutschland Trend-ის მიერ წარმოებული სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, გერმანელების დამოკიდებულება თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ შეიცვალა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ მოქალაქეთა 51 პროცენტს ლტოლვილების დიდი რაოდენობა აფრთხობს. ამავე გამოკითხვის მიხედვით, კანცლერის რეიტინგიც შემცირდა. მერკელის საქმიანობით გამოკითხულთა 54 პროცენტია კმაყოფილი, რაც გასულ თვესთან შედარებით 9 პუნქტით ნაკლებია.

„დანაწევრებული ევროპა"

ლტოლვილების კრიზისზე გერმანიის პოზიცია, როგორც ჩანს, ვერ გაიგეს ევროკავშირში მისმა პარტნიორებმაც. მერკელის „ღია კარის" პოლიტიკით ყველაზე მეტად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დარჩნენ უკმაყოფილოები. ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი და უნგრეთი – ის სახელმწიფოებია, რომლებმაც ასევე არ დაუჭირეს მხარი ევროკავშირის საიმიგრაციო გეგმას. ინიციატივა 120 ათასი ლტოლვილის განსახლებას ითვალისწინებს. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ბრიუსელში დოკუმენტი სექტემბრის ბოლოს მაინც



დაამტკიცეს. სავარაუდოდ, ეს ევროპის ერთიანობის საჩვენებლად გადადგმული ნაბიჯი უფრო იყო, რადგან თავშესაფრის მაძიებელთა მისაღებად სავალდებულო კვოტებზე ლიდერები საბოლოოდ კვლავ ვერ შეთანხმდნენ. ყველაზე კრიტიკული ევროკავშირისა და გერმანიის მიმართ უნგრეთის პრემიერი იყო. მემარცხენე ვიკტორ ორბანმა ბერლინი „მორალურ იმპერიალიზმში" დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ევროპაში არა სირიელი ლტოლვილები, არამედ, ძირითადად, ეკონომიკური პრობლემებით შეწუხებული ბალკანელები ჩადიან. უნგრეთსა და ჩეხეთში შეშფოთება გამოთქვეს იმის გამოც, რომ შესაძლოა, ლტოლვილებთან ერთად რომელიმე ევროპულ ქალაქში რადიკალური ისლამის მიმდევრებიც შეიპარონ. სხვათა შორის, ასეთივე ფრაზები ისმოდა 1930-იან წლებში. მაშინ ებრაელ მიგრანტებს შორის რადიკალ კომუნისტებს ეძებდნენ. სანამ გერმანიის კანცლერი იძულებით გადაადგილებული პირების ბანაკებს სტუმრობდა და ფოტოებს იღებდა. ბუდაპეშტში ევროკავშირის საზღვრების დაცვაზე ზრუნავდნენ. ასე გაჩნდა უნგრეთისა და სერბეთის საზღვარზე ცნობილი მავთულხლართების კედელი. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, პრემიერი ორბანი ნაწილობრივ მართალი იყო და ლტოლვილების ნაკადის შემცირების საკითხი დღის წესრიგში უკვე დგას. ხისტ მიდგომას ინარჩუნებენ დიდ ბრიტანეთშიც. „კონსერვატიული პარტიის" ყრილობაზე გამოსვლისას ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების პირობა დადო. გაერთიანებულ სამეფოში წელს რეკორდული რაოდენობით – 300 ათასი მიგრანტი ჩავიდა. ამასთან, საზოგადოების მხრიდან არაერთი კრიტიკული შენიშვნის შემდეგ ლონდონში დადეს პირობა, რომ ლტოლვილთა ბანაკებში მცხოვრებ 20 ათას სირიელს შეიფარებენ.

„სირიელები ორ ფრონტის ხაზს შორის"

ევროპაში დებატების ფონზე 30 სექტემბერს სირიაში რუსული ავიაცია გამოჩნდა. მოსკოვის საჰაერო ოპერაცია აშშ-ისა და მისი პარტნიორების შეშფოთებას იწვევს. პენტაგონში ამბობენ, რომ რუსული გამანადგურებლები ბომბავენ არა ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს, არამედ ვაშინგტონის ფინანსური თუ სამხედრო მხარდაჭერით მოქმედ სირიის ოპოზიციას, რომელიც უკვე მზად იყო, ბაშარ ასადის არმიაზე დამაგვირგვინებელი იერიში მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანა. რუსეთის, ირანისა და ერაყის შესაძლო სამხედრო კავშირი სულ უფრო მეტად არ მოსწონთ საუდის არაბეთშიც. ერ-რიადმა მოუწოდა კრემლს, შეწყვიტოს ავიადარტყმები. ახალი ფრონტის ხაზი სირიაში ლტოლვილების გარშემო ვითარებას, სავარუდოდ, კიდევ უფრო გაამწვევებს. თუ ამბოხებულები ნაწილობრივ მაინც სიმართლეს ამბობენ, მაშინ უახლოეს ხანში სირიის დატოვება იმ მოქალაქეებსაც მოუწევთ, რომლებიც თავის დროზე ოპოზიციის მხარეზე გადავიდნენ და მეამბოხეების კონტროლირებად ტერიტორიებს აფარებდნენ თავს. კერძოდ, საუბარია ქალაქ ალეპოსა და მის მიმდებარე რაიონებზე, სადაც მილიონობით სირიელი იმყოფება.

„პასუხისმგებლობის ტვირთი"

4 წლის განმავლობაში მიმდინარე სამოქალაქო ომის, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს აღზევების, ჯერ აშშ-ისა და მისი პარტნიორების, შემდეგ უკვე რუსეთის დაბომბვის შედეგად სირია დღეს რამდენიმე ნაწილად არის გახლეჩილი. ერაყთან სახელმწფო საზღვარი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. განადგურებულია ინფრასტრუქტურა, გზები. დაღუპულთა რაოდენობა 220 ათასს აჭარბებს და გაერომ მსხვერპლის თვლა შეწყვიტა.

დასავლეთი მომხდარში დამნაშავედ სირიის მოქმედ ლიდერს მიიჩნევს, ხოლო რუსეთი და ირანი მის მხარდაჭერას მაინც განაგრძობენ. მოსკოვის პოზიციის გამო, გაეროს უშიშროების საბჭო რამდენიმე წელია, გადაწყვეტილებას ვერ იღებს.

მილიონობით სირიელი ლტოლვილი უკვე მეოთხე წელია, ზამთარს მეზობელ თურქეთში ან იორდანიაში, ზაათარის ბანაკში, ერაყში ან სულაც ევროპის რომელიმე ქვეყნის საზღვრის სიახლოვეს აღმართულ კედელთან ხვდება.

ამ ფონზე კი ევროპასა და სხვადასხვა ქვეყანაში სირიელი ლტოლვილების მიღებასთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსია მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე კუბასთან გაჩერებულ გერმანელი ებრაელების გემს ჰგავს, რომელიც პასუხისმგებელი პირების მოლოდინში სულ მალე ჩაიძირება.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლიანი მოზაიკა ISIS-ის გარშემო

„ისლამური სახელმწიფოს „გარშემო განვითარებული მოვლენები ქართული მედიის დიდი ნაწილის ყურადღებას მხოლოდ განსაკუთრებული ძალადობის ამსახველი ვიზუალური გამოსახულებებით თუ იქცევს. მთლიანი სურათის აღქმას კი გაცილებით დიდი ინფორმაცია სჭირდება

ინტერვიუ საქართველოს გენერალური შტაბის პოლკოვნიკ ნიკოლოზ ჯანჯღავასთან.

წარმოშობა...

ეს არის პრობლემა, რომელიც გუშინ და დღეს არ დაწყებულა, ღრმა საფუძველი აქვს და მცირე შესავლის გაკეთება მოგვიწევს.

2014 წლის ივნისში ტერორისტთა საკმაოდ მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად შეიარაღებული ჯგუფი სირიიდან ერაყში გადადის. იწყებენ ე.წ. გამათავისუფლებელ ბრძოლას. იკავებენ სოფლებს, რაიონებს, ქალაქებს. ერაყული ჯარი იშლება და უტოვებს მათ ტანკებს, ჯავშანტექნიკას, მანქანებს, დიდძალ ფულს. უკვე 29 ივნისს ცხადდება ე.წ. ისლამური სახელმწიფო – სათავეში ხალიფა – აბუ ბაქრ ალ ბაღდადი (Abu Bakr Al - Baghdadi).

მოვლენები ელვისებურად განვითარდა. პრაქტიკულად, ერაყულმა სახელმწიფომ ტერიტორიის ორი მესამედი დაკარგა და ISIS-ის მებრძოლები ბაღდადის მისადგომებთან განლაგდნენ.

არ მგონია, ეს პროცესები ვინმესთვის მოსალოდნელი ყოფილიყო, მაგრამ განვიხილოთ, თუ რამ დაუდო ამ მოვლენებს საფუძველი:.

არაბული გაზაფხული დაიწყო ტუნისიდან, პროცესებს ბიძგი მისცა ერთ-ერთი მოქალაქის თვითმკვლელობამ, რომელმაც პოლიციის ზეწოლას ვერ გაუძლო და თავი დაიწვა. ამ ფაქტმა დომინოს პრინციპით გამოიწვია საპროტესტო ტალღა და ტუნისიდან ერაყამდე რეჟიმების შეცვლის პროცესი დაიწყო.

არაბული გაზაფხული სირიაში სახეცვლილი ფორმით განვითარდა. 2010 წელს გამოსვლები პოლიტიკური მოთხოვნებით დაიწყო. დემონსტრანტები სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადისგან (Bashar Al Assad) გარკვეულ პოლიტიკურ რეფორმებს, დათმობებს მოითხოვდნენ.

ასადის რეჟიმი დემონსტრანტების გამოსვლებს ფიზიკურად, რეპრესიებით დაუპირისპირდა, რამაც დანარჩენი მოსახლეობის რადიკალიზაცია გამოიწვია. მათ ხელში იარაღი აიღეს. პროცესი უმართავი გახდა, დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება.

სირიაში ხელისუფლების სათავეში ბოლო 40 წლის განმა-

ფოტო: ლევან ბერიძეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლობაში პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ალავიტური სექტის წარმომადგენლები იყვნენ. ჰაფეს ალ ასადის (Hapez Al Assad) სიკვდილის შემდეგ, 2000 წელს სირიის პრეზიდენტის თანამდებობა მისმა შვილმა, პროფესიით ოფთალმოლოგმა ბაშარმა დაიკავა, ალავიტები სირიის მოსახლეობის მხოლოდ 13%-ს შეადგენენ. 74% – სუნიტები, დანარჩენები კი ქრისტიანები და სხვა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები არიან.

პოლიტიკური ან სამხედრო თანამდებობისთვის რომ მიგეღწია, აუცილებლად ალავიტური სექტის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყავი. ალავიტები შიიზმის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენენ (მეთორმეტიანელები).

პარალელურად სირიაში ერთმანეთს სხვა მეამბოხეთა შეიარაღებული ჯგუფები უპირისპირდებიან. ისინი იშლებიან რამდენიმე ფრაქციად. იქმნება სუნიტი მებრძოლებით დაკომპლექტებული „თავისუფალი სირიის არმია". ეს დაჯგუფება პროდასავლურია და მას მხარს უჭერს კოალიცია, რომელსაც სათავეში უდგას შეერთებული შტატები. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ოპოზიციური ძალა – თავისუფალი სირიის არმიაა (Free Syrian Army). ის დაკომპლექტებულია ყოფილი სამხედროებით.

სხვა ძირითადი ოპოზიციური ძალებია: „ალ ნუსრას ფრონტი" (Al Nusra Front), რომელიც, პრაქტიკულად, ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას" (Al Qaeda) განშტოებაა და „ისლამური ფრონტი" (არ უნდა გავაიგივოთ ISIS-თან). დღესდღეობით სირია, როგორც ერთიანი სახელმწიფო, აღარ არსებობს.

ამ დაპირისპირებებში იშვა ISIS. ISIS შეიქმნა 2003 წელს, ერაყში. ფაქტობრივად, ეს იყო „ალ ქაიდას" ტერორისტული ორგანიზაციის განშტოება. ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების

2014 წელს ISIS-ის 800-მდე მებრძოლი გადადის ერაყში. მომენტი ბრწყინვალედ შეირჩა. 2003 წლის შემდეგ, როდესაც შეერთებულმა შტატებმა ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმი შეცვალა, მმართველი თანამდებობები ხელში შიიტმა უმცირესობამ ჩაიგდო. მოხდა სუნიტების სრული მარგინალიზაცია. ამ დროს გაჩნდა ორგანიზაცია, რომელიც მზად იყო, ბრძოლით მისულიყო ბაღდადამდე და დაეცვა სუნიტების ინტერესები. მან გაილაშქრა მმართველი შიიტების კასტის წინააღმდეგ და, რა თქმა უნდა, სუნიტმა მოსახლეობამ მხარი დაუჭირა.

შემდეგ ალ ბაღდადმა სირიაში გაგზავნა თავისი „მარჯვენა ხელი" აბუ მუჰამად ალ გოლანი (Abu Mohamad Al Golani), რომ იქაც ჩამოეყალიბებინა „ალ ქაიდას" ორგანიზაცია. ასე შეიქმნა „ალ ნუსრას" ფრონტი, თუმცა, როცა ბაღდადმა ამ ორი ორგანიზაციის სირიასა და ერაყში ერთ ძლიერ ტერორისტულ ორგანიზაციად გაერთიანება დააპირა, ალ გოლანისგან უარი მიიღო. დაპირისპირება მათ შორის, ძირითადად, თეოლოგიური საკითხის გამო ხდება – რამდენად მზად არის უმმა (მსოფლიო მაჰმადიანობა), რომ აღდგეს ხალიფატის ინსტიტუტი. უარის შემდეგ ალ ბაღდადმა თავისი ყველა მომხრე სირიიდან ერაყში გადაიყვანა, ჩამოაყალიბა ISIS და თავი გამოაცხადა ხალიფად.

2014 წელს ISIS-ის 800-მდე მებრძოლი გადადის ერაყში. მომენტი ბრწყინვალედ შეირჩა. 2003 წლის შემდეგ, როდესაც შეერთებულმა შტატებმა ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმი შეცვალა, მმართველი თანამდებობები ხელში შიიტმა უმცირესობამ ჩაიგდო. მოხდა სუნიტების სრული მარგინალიზაცია. ამ დროს გაჩნდა ორგანიზაცია, რომელიც მზად იყო, ბრძოლით მისულიყო ბაღდადამდე და დაეცვა სუნიტების ინტერესები. მან გაილაშქრა მმართველი შიიტების კასტის წინააღმდეგ და, რა თქმა უნდა, სუნიტმა მოსახლეობამ მხარი დაუჭირა.

„ისლამური სახელმწიფო" იმდენად მასშტაბურ საომარ ოპერაციებს აწარმოებს, რომ თვალნათლივ ჩანს, უზარმაზარი დაფინანსება ესაჭიროებათ. რა არის მათი წყაროები?

პენტაგონმა გამოაცხადა, რომ ISIS ყველაზე კარგად შეიარაღებული და მდიდარი ტერორისტული ორგანიზაციაა.

ის გამდიდრების რამდენიმე გზას იყენებს. მაგალითად ქალაქ მოსულის აღების შემდეგ მათ ხელთ ჩაუვარდათ თანხა მილიარდ დოლარამდე. ისე ელვისებურად დაიკავეს ქალაქი, რომ ბანკიდან ფულის გატანა ვერ მოასწრეს.



მათი შეიარაღება შედგება, ძირითადად, ერაყული არმიის მიერ მიტოვებული ტექნიკისგან, რომელიც თავის დროზე ერაყელებს შეერთებულმა შტატებმა გადასცა – აბრამსები, ჰამერები... არ დაგვავიწყდეს, რომ ISIS-ს ჰყავს ძალიან ძლიერი მხარდამჭერებიც – საუდის არაბეთში, ყატარში. ამ ქვეყნების მმართველი ელიტები ერაყსა და სირიაში სამოქალაქო ომს აღიქვამენ, როგორც საუკუნოვანი დაპირისპირების გაგრძელებას სუნიტებსა და შიიტებს შორის. ამ ბოლო დროს სამოქალაქო დაპირისპირება რელიგიური ომის ხასიათს იღებს. ISIS-ის მებრძოლთა ძირითად იდეოლოგიას წარმოადგენს ე.წ. სალაფიზმი, ანუ ყურანის პირდაპირი წაკითხვა, არ არის დაშვებული წმინდა წიგნის არანაირი ინტერპრეტაცია.

დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს – შავი არქეოლოგია, ანუ იმ უნიკალური ანტიკური არტეფაქტების გაყიდვა, რომელიც ხელში ჩაიგდო ისის-მა ერაყისა და სირიის მუზეუმებიდან.

რეკრუტირების ბრწყინვალედ გამართული სისტემა... როგორ შეიძლება ასე ორგანიზებულად მიიზიდო ადამიანები არცთუ ისე მომხიბვლელ საქმეში, ძალადობრივ ომში ჩასართავად?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უინსტონ ჩერჩილმა თქვა, რომ მომავლის იმპერიები არა ტერიტორიების, არამედ აზროვნების იმპერიები იქნება, ISIS-იც აზროვნების იმპერიაა. ამ სახელმწიფოსთვის არ არის მნიშვნელოვანი, სად გადის სახელმწიფო საზღვარი. ის იბრძვის უმმის გაერთიანებისთვის, რათა დააყენოს იმ გზაზე, რომელიც ISIS-იდეოლოგიით, არის ერთადერთი მართალი და სწორი გზა. როდესაც მოხალისეები ერაყსა და სირიაში ინდონეზიიდან და ფილიპინებიდან ჩადიან იმისათვის, რომ მიიღონ მონაწილეობა ე.წ. გამათავისუფლებელ ომში, დამაფიქრებელია. „მუსლიმთა ამ ინტერნაციონალში“ იბრძვიან გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის მოქალაქეები. ეს არის უზარმაზარი მიქსი.

ISIS ბრწყინვალედ იყენებს სოციალურ ქსელებს, იზიდავს ახალგაზრდებს დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან. მათ დიდ ნაწილს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ნაკლებად აწუხებს, მაგრამ ისინი ვერ იქცნენ დასავლეთის ნაწილად. მაგალითისთვის, როდესაც შენ ხარ მეორე თაობის ფრანგი, საფრანგეთის მოქალაქე, თავისუფლად ფლობ ფრანგულს, მაგრამ ფრანგული კულტურა და ტრადიციები შენთვის მაინც უცხოა, თავს გარიყულად გრძნობ, ეძებ შენს თავს, შენს ფესვებს, ამ ვაკუუმს კი ფუნდამენტალისტური იდეოლოგია ავსებს. იგივე ხდება ევროპის სხვა ქვეყნებში.

ISIS მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებს უპირიპირდება, თუმცა მაინც წინ მიიწევს. როგორც პროფესიონალ სამხედროს გეკითხებით, რა არის ISIS-ის სამხედრო წარმატების საიდუმლო?

პირველი – მორალური მდგომარეობა. მისი მეომრები მზად არიან სიკვდილისთვის. მათთვის უკანდასახევი გზა არ არსებობს. ISIS-მა ასეთი წინაპირობა შექმნა. ადამიანების ცოცხლად დაწვა, თავის მოკვეთა, ძალადობის არნახული, შუასაუკუნოებრივი ფორმები... აქედან უკან ვერ დაიხევ.

მეორე – ისინი იბრძვიან მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების არაკონვენციური საშუალებებით, ან სარგებლობენ მოსახლეობის სრული მხარდაჭერით, ან ამ მხარდაჭერას იღებენ ძალადობით. სუნიტი მოსახლეობა მათში გამათავისუფლებელს ხედავს. ქრისტიანებს, იეზიდებსა და სხვა უმცირესობებს სალაფიტები აიძულებენ, რჯული შეიცვალონ, ან

წავიდნენ წინაპართა მიწებიდან. ამ ყველაფერს ტერორიზმით აღწევენ. სხვები იძულებულნი ხდებიან, დაეხმარონ. დაკავებულ ტერიტორიებზე ისინი ავრცელებენ შარიათის კანონებს და ყველას, ვინც მათ ეწინააღმდეგება, უმოწყალოდ უსწორდებიან.

მესამე – ISIS მოქმედებს პატარა-პატარა, დეცენტრალიზებულ ჯგუფებად. ისინი გადაადგილდებიან მცირერიცხოვანი ქვედანაყოფებით და სხვადასხვა მხრიდან მიაქვთ იერიში სამთავრობო ჯარებზე. როგორც წესი, ბრძოლა იწყება ფრონტალური შეტევით, შემდგომ შემტევი ჯგუფები სწრაფად იხევენ უკან, დანარჩენი ქვედანაყოფები კი ზურგსა და ფლანგებზე იწყებენ დარტყმას და ქმნიან წარმოდგენას, რომ შეტევა ხდება ყველა მიმართულებით და დიდი ძალებით. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის სექტემბრიდან კოალიციური ძალები აშშ-ის ხელმძღვანელობით აწარმოებს საჰაერო კამპანიას ISIS-ის პოზიციებზე, ჯერჯერობით, ეს სტრატეგია ნაკლებად ეფექტიანია, რადგან ერაყული ჯარი, რომელიც სახმელეთო ოპერაციებს წარმართავს, მაღალი ბრძოლისუნარიანობით არ გამოირჩევა. ერაყში ბრძოლებში მონაწილეობს ირანული ისლამური რევოლუციის გუშაგთა სპეციალური ქვედანაყოფი – კუდსი (QUDS). კუდსის მეომრები, ძირითადად, მრჩევლების როლში არიან, ერაყულ ჯარს ეხმარებიან ოპერაციის დაგეგმარებასა და სწორად შესრულებაში, ცეცხლის მართვასა და თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებების დაუფლებაში. სირიაში ასადის რეჟიმს ეხმარებიან ლიბანიდან გადასული შიიტური ტერორისტული ორგანიზაციის – ჰეზბოლას მეომრები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ISIS-ის წინსვლის შეჩერებაში.

2014 წლის სექტემბრიდან ამუშავდა კოალიცია, რომელშიც 50-მდე ქვეყანა შედის. აქედან 10 აქტიურად მოქმედებს საკუთარი სპეცდანიშნულებისა თუ საავიაციო ძალებით. ნებისმიერი კოლონა, რომელიც სამ მანქანაზე მეტია, მყისვე სამიზნე ხდება და ერთ რამეს გეტყვით, ამერიკულ საჰაერო ძალებს უკეთესია, არ დაუპირისპირდე. ესაა ძალა, რომელიც ნებისმიერ მოწინააღმდეგეს გაანადგურებს, მაგრამ მხოლოდ ჰაერიდან ომს ვერ მოიგებ. ქვეითად კი ერაყული ჯარი იბრძვის, რომელიც, როგორც ვთქვით, მაღალი ბრძოლისუნარიანობით არ გამოირჩევა.

■ ISIS ბრწყინვალედ იყენებს სოციალურ ქსელებს, იზიდავს ახალგაზრდობას დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან. მათ დიდ ნაწილს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ნაკლებად აწუხებს, თუმცა ისინი ვერ იქცნენ დასავლეთის ნაწილად. მაგალითისთვის, როდესაც შენ ხარ მეორე თაობის ფრანგი, საფრანგეთის მოქალაქე, თავისუფლად ფლობ ფრანგულს, მაგრამ ფრანგული კულტურა და ტრადიციები შენთვის მაინც უცხოა, თავს გარიყულად გრძნობ, ეძებ შენს თავს, შენს ფესვებს, ამ ვაკუუმს ფუნდამენტალისტური იდეოლოგია ავსებს. იგივე ხდება ევროპის სხვა ქვეყნებში.

რუსეთის როლი... რა არის ვლადიმერ პუტინის მოტივი, ასე ღიად ძლიერად ჩაერთოს სირიის კონფლიქტში?

სირიას არაფერი აქვს, არც ნავთობი, არც სხვა ბუნებრივი რესურსები. და რატომ მიმდინარეობს ბრძოლა სირიისთვის? რატომ ეხმარება პუტინი ბაშარ ასადს, რომელმაც სრული ლეგიტიმაცია დაკარგა მაშინ, როდესაც საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა?

რუსეთს აქვს თავისი „პრაგმატული პოზიცია" სირიასთან მიმართებაში, ის ამ ეტაპზე იცავს ასადს და აცხადებს მას ერთადერთ „ლეგიტიმურ" პრეზიდენტად, მაგრამ ამავდროულად რუსები აძლევენ დასავლეთს სიგნალს, რომ მზად არიან, განიხილონ ასადის შეცვლის საკითხი. რუსეთი თავისი მონაწილეობის გააქტიურებით ცდილობს, გადაიტანოს საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება უკრაინიდან და გააძლიეროს თავისი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. ამისათვის რუსები აპირებენ ავიაიერიშებს არა მარტო სირიის ტერიტორიაზე, არამედ ერაყშიც (ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური საინფორმაციო ცენტრი ბაღდადში, სადაც თანამშრომლობენ რუსი, ერაყელი, სირიელი და ირანელი სამხედროები). პუტინმა კიდევ ერთხელ აჩვენა დასავლეთს, რომ რუსეთის თანხმობის გარეშე შეუძლებელია გლობალური საკითხების გადაწყვეტა. მაგრამ რუსეთის ასეთი პოზიცია სირთულეებს ქმნის რიგ ქვეყნებთან: საუდის არაბეთთან, ყატარსა და მეზობელ თურქეთთან. ისინი დაინტერესე-

ბულები არიან ალ ასადის რეჟიმის, რაც შეიძლება, სწრაფად დამხობით, რუსული სამხედრო ოპერაციები კი მხოლოდ ხელს შეუწყობს სირიული ტრაგედიის გახანგრძლივებას. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთის პოზიცია სირიასთან მიმართებაში მცდარია და მას მომავალი არ აქვს. შეუძლებელია, რომ ასადი გახდეს სირიის გამთლიანებისა და ერთიანობის სიმბოლო.

ჩვენ კარგად ვიცით, გვესმის, რომ პუტინი მსოფლიო არენაზე ე.წ. სტაბილურობის ან სტატუს კვოს დამცველია. მისთვის მიუღებელია რეჟიმის შეცვლის იდეა. ამას თავის წინააღმდეგ მიმართულ მოვლენად აღიქვამს, არ სურს ამგვარი პრეცედენტების დაშვება. ლეგალური სტატუსის დამცველია და არა აქვს მისთვის მნიშვნელობა, ეს უკრაინა იქნება თუ სირია..

დასავლეთსა და რუსეთს შორის ნდობა არ არსებობს. ლიდერებს ერთმანეთის არ სჯერათ. პრეზიდენტი პუტინი, რომელსაც КГБ-ს სკოლა აქვს გავლილი, დასავლეთში მხოლოდ მტერს ხედავს. მისთვის სირიის დაკარგვა ნიშნავს მტრის გამარჯვებას, ჭადრაკის დაფაზე პაიკის დათმობას, რისი დაშვებაც არ უნდა. ეს მისთვის რუსული „დერჟავის" შეურაცხყოფაა. ამიტომაც არ იხევს უკან ერთი ნაბიჯითაც კი.

არ იქნება გამართლებული, რომ ვთქვათ, თითქოს პუტინი ტარტუსისა და ლატაკიისთვის (სირიის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზებისთვის) იბრძვის, რომ როდესაც რუსული ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში იქნება, ზურგს სამხედრო ბაზები უმაგრებდეს. მხოლოდ ეს არ არის მიზეზი. მას სურს, ასადის დაცვით დაუპირისპირდეს ამერიკელებს. ჩვენ ვხედავთ, რომ მისი რეიტინგი იზრდება დასავლეთთან დაპირისპირების დროს. ამით პუტინი ქვეყნის შიგნით ძალაუფლებას ინარჩუნებს.

ამიტომაც ახლა 50-მდე რუსული თვითმფრინავი ასრულებს

ვის ბომბავს რუსეთი? მხოლოდ ISIS არ არის იქ მტერი. მისი მტერია ქურთისტანის როჰავას დაჯგუფება, სირიის თავისუფალი არმია, ნუსრას ფრონტი, და კიდევ რამდენიმე პატარ-პატარა დაჯგუფება. რუსეთისთვის ასადის ყველა მტერი მისი მტერიცაა. არ მინდა, კონსპირაციების თეორიაში გადავიჭრა, მაგრამ ისის-ის ჩამოყალიბებაში თავად ასადმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი. რატომ? პირველ ეტაპზე მას უპირისპირდებოდნენ სეკულარული ძალები, მან კი ყველა რადიკალი ფუნდამენტალისტი გაუშვა ციხიდან და სალაფიტები გააძლიერა, ისის უფრო გააფთრებულად ებრძვის თავისუფალი სირიის არმიას და სხვა პროდასავლურ დაჯგუფებებს, ვიდრე ასადის არმიას.

ოპერაციებს სირიის საჰაერო სივრცეში. მათ შორისაა: ექვსი სუ-34, თორმეტი სუ-24m. ოთხი სუ-30sm, თორმეტი სუ-25sm, ოთხი გამანადგურებელი, საფრონტო ბომბდამშენები და მოიერიშეები, რომელთა ამოცანაა, მხარი დაუჭირონ და დახმარება გაუწიონ ასადის ჯარს წინსვლაში, შეუქმნან „საჰაერო ქოლგა".

აქ საკითხავია, ვის ბომბავს რუსეთი? მხოლოდ ISIS არ არის იქ მტერი. მისი მტერია ქურთისტანის როჰავას დაჯგუფება, სირიის თავისუფალი არმია, ნუსრას ფრონტი და კიდევ რამდენიმე პატარ-პატარა დაჯგუფება. რუსეთისთვის ასადის ყველა მტერი მისი მტერიცაა. არ მინდა, კონსპირაციების თეორიაში გადავიჭრა, მაგრამ ISIS-ის ჩამოყალიბებაში თავად ასადმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი. რატომ? პირველ ეტაპზე მას უპირისპირდებოდნენ სეკულარული ძალები, მან კი ყველა რადიკალი ფუნდამენტალისტი გაუშვა ციხიდან და სალაფიტები გააძლიერა, ISIS უფრო გააფთრებულად ებრძვის თავისუფალი სირიის არმიას და სხვა პროდასავლურ დაჯგუფებებს, ვიდრე ასადის არმიას.

სირიაში მოქმედებს პრინციპი: – ჩემი მტრის მტერი, ყოველთვის ჩემი მეგობარი არ არის.

პრეინტერვიუს დროს მითხარით, რომ საბოლოოდ ISIS განწირულია, რატომ ფიქრობთ ასე?

ისეთი ორგანიზაციები, როგორიც ISIS-ია, ყოველთვის განწირულნი არიან. სისხლით, შიშით, ტერორით ძალაუფლების დიდხანს შენარჩუნება შეუძლებელია. რაღაც მომენტში მიაღწევენ გამარჯვების პიკს და შემდეგ ამოწურავენ თავს. ISIS, ადრე თუ გვიან, განადგურდება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მის ადგილს სხვა დაიკავებს.

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი

რამდენად ევროპულია „ქართული ოცნების“ ევროპული არჩევანი

დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა დისკუსია – სახელმწიფოს უზენაეს კანონში, საქართველოს კონსტიტუციაში უნდა იყოს თუ არა განსაზღვრული ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი. ვისთვისაც დამაკმაყოფილებელი არ იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დეკლარირებული არჩევანი, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ ამ კითხვას უპასუხა. ამავე დროს, ხელისუფლების ერთი ნაწილის განცხადებები ქვეყნის ევროპული კურსის სიცხადეს ჩრდილს აყენებს. იმის გასარკვევად, რამდენად რეალურია „ქართული ოცნების“ ევროპული კურსი და წარმოადგენს თუ არა იგი ქვეყნის დღევანდელ მმართველთა უმთავრეს ამოცანას, აუცილებელია იმ კონკრეტული ქმედების შეფასება, რაც პოლიტიკური განცხადებების მიღმაა.

დათო გამისონია

ბრიუსელთან ურთიერთობის ხანგრძლივ პროცესში პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ევროკავშირიდან ხელშესახები სარგებლის მიღების საშუალება ეძლევა. სავიზო ლიბერალიზაციის პროცესი დასკვნით ფაზაშია. მისი მიღება ბიომეტრული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონასა და ოთხ კანდიდატ ქვეყანაში (ბულგარეთში, კვიპროსში, რუმინეთში, ხორვატიაში), 180-დღიან ვადაში, 90 დღით უვიზო მიმოსვლის საშუალებას მისცემს.

პრაქტიკული სარგებლის გათვალისწინებით, რასაც საქართველოს მოქალაქეები უვიზო მიმოსვლიდან მიიღებენ, სავიზო ლიბერალიზაცია ერთიორად გამოაცლის არგუმენტებს იმ ძალებს, ვინც ევროპას ათას სოდომურ ცოდვას მიაწერენ.

ევროპული კურსის დასადასტურებლად სავიზო ლიბერალიზაციის და-

ფოტო: ლელი ელიავერაძეს / საპრეზიდენტო პრესმსახურების არქივიდან

ჩქარება ნებისმიერი ხელისუფლებისთვის დამაჯერებელი ნაბიჯი იქნებოდა. ცნობილია, რომ მოლდავეთმა ეს პრივილეგია 2014 წლის გაზაფხულზე მიიღო. ჩვენი გადმოსახედიდან საინტერესოა არა ის, რატომ გაიარა კიშინიოვმა ეს გზა უფრო ადრე, არამედ, რატომ ვერ შეძლო პროცესის დაჩქარება საქართველომ?

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი, რომელმაც თანამდებობა ირაკლი ალასანიას გათავისუფლების შემდეგ დატოვა, „ლიბერალთან" საუბარში იხსენებს, რომ სავიზო ლიბერალიზაციის საკანონმდებლო ფაზის შესრულების შეფერხება ანტიდისკრიმინაციულ კანონს უკავშირდებოდა.

„წინა პარლამენტი ანტიდისკრმინაციული კანონმდებლობის მიღებას აჭია-

კათალიკოს-პატრიარქი ილია II, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ასოცირების ხელშეკრულებისადმი მიძღვნილ გალაკონცერტზე, თბილისი, 27 ივნისი 2014

ნურებდა. ევროკავშირის მხრიდან ერთ-ერთი მთავარი პირობა კი ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებული პროცესის დაჩქარება იყო. ხელისუფლებაში როდესაც მოვედით, ასეთი მოცემულობა დაგვხვდა", – ამბობს ზალკალიანი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა, გიორგი კანდელაკმა, რომელიც 2008 წლიდან პარლამენტის დეპუტატია, „ლიბერალს" დაუდასტურა, რომ მათი ხელისუფლება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას არ აპირებდა. „ჩვენ არ გვინდოდა, ანტიდასავლურ ძალებს კონკრეტული სამიზნე ჰქონოდათ", – გვითხრა კანდელაკმა, – „ჩვენს დროს ასეთი მიდგომა გვქონდა: ის ნორმები და ფილოსოფია, რაც ანტიდისკრიმინაციულ კანონშია, დანარჩენ კანონმდებლობაში ყოფილიყო გაბნეული. ეს ასე იყო კიდეც".

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მიღება (ხარვეზების მიუხედავად) კოალიცია „ქართული ოცნებისთვის" მარტივი არ ყოფილა, მაგრამ, როგორც დავით ზალკალიანი ჰყვება, ხელისუფლებამ მოახერხა ის, რომ ყველა დაინტერესებული უწყებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომელშიც საპატრიარქო აქტიურად იყო ჩართული.

საქართველოსგან განსხვავებით, მოლდავეთში, კანონის სახელწოდებაში (Law on Ensuring Equality) „დისკრიმინაციის" ჩაწერა ვერ გაბედეს. მიუხედავად არაერთგვაროვანი საზოგადოებრივი რეაქციებისა, საქართველო არ მოერიდა კანონის ამ ფორმით გატანას და შედეგად, სავიზო ლიბერალიზაციის საკანონმდებლო ფაზაც, მაშინ, სწრაფად დაასრულა.

2012 წლის ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვა, ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იმ ნარატივის გაფანტვა იქცა, რომელსაც მისი ოპონენტები დასავლურ სამყაროში ამკვიდრებდნენ. „ქართული ოცნება" ღიად პრორუსულ ძალად იყო შერაცხული, რომლისგანაც მხოლოდ ანტიდასავლური კურსის მოლოდინი შეიძლება ჰქონოდათ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა, გიორგი კანდელაკმა, რომელიც 2008 წლიდან პარლამენტის დეპუტატია, „ლიბერალს" დაუდასტურა, რომ მათი ხელისუფლება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას არ აპირებდა. „ჩვენ არ გვინდოდა, ანტიდასავლურ ძალებს კონკრეტული სამიზნე ჰქონოდათ", - გვითხრა კანდელაკმა, - „ჩვენს დროს ასეთი მიდგომა გვქონდა: ის ნორმები და ფილოსოფია, რაც ანტიდისკრიმინაციულ კანონშია, დანარჩენ კანონმდებლობაში ყოფილიყო გაბნეული. ეს ასე იყო კიდეც".

დავით ზალკალიანის თქმით, ახლად მოსული ხელისუფლების მთავარი ამოცანა ევროპელი პარტნიორებისთვის იმის დამტკიცება იყო, რომ ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი უცვლელია.

ზალკალიანი, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების მთავარი მომლაპარაკებელი იყო, იხსენებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების" ხელისუფლება ასოცირების ხელშეკრულების მოლაპარაკებების პროცესში დაუყოვნებლივ ჩაერთო. ღიად იყო დარჩენილი პრინციპული თემები. მისი თქმით, საქართველომ ეს პერიოდი მოკლე დროში გაიარა, რაც ევროპელი პარტნიორებისთვის სერიოზული გზავნილი იყო იმის შესახებ, რომ ევროპული კურსი შეუქცევადია.

2013 წლის ნოემბერში, ვილნიუსის სამიტზე, ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირების გარდა, საქართველომ ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებას მოაწერა ხელი, რასაც მოგვიანებით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ქართული სამშვიდობო კონტიგენტის გაგზავნა მოჰყვა.

პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს კონტექსტი, რომელშიც უნდა განვიხილოთ საკითხი, არის თუ არა მთავრობა პროდასავლური, თუ ეს მხოლოდ რიტორიკაა, – გვითხრა გიორგი კანდელაკმა ოპონენტების შეფასებისას. მისი აზრით, საქმე გვაქვს ძალიან მარტივ, უნიკალურად ქართულ კონტექსტთან, თუ რა ჩარჩოში უწევს ამჟამინდელ მთავრობას ოპერირება.

„მთავრობის ნაბიჯები აიხსნება, ერთი მხრივ, იმით, რომ მთავრობა იძულებულია, ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ჯერ კიდევ მყარად პროდასავლურია, მიუხედავად იმისა, რომ ეროზია შეინიშნება. ამას მთავრობა, ასე თუ ისე, ანგარიშს უწევს. ამ ჩარჩოში მეორე კომპონენტი არის ის, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა ასევე პროდასავლურია და მთავრობას პოლიტიკურად თავს ესხმის პროდასავლური პოზიციებიდან. „ოცნების ხელისუფლებას" ამ ჩარჩოში უწევს ოპონირებას, რაც ხელისუფლების სამანევრო სივრცეს ძალიან ზღუდავს. საქართველოში მკვეთრი მანევრი

წარმოუდგენელია, რადგან ამას მთავრობის დამხობა მოჰყვება", – ამბობს კანდელაკი.

თუმცა მთავრობის კონკრეტულ ნაბიჯებზე საუბრისას კანდელაკი MDF-ის კვლევას იშველიებს და აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა საბიუჯეტო სახსრებით პრორუსულ მედიას აფინანსებს. „რაც დადასტურებულად ვიცით, „ობიექტივის" შემთხვევაში ხელწამოსაკრავი თანხა არ არის", – აღნიშნავს კანდელაკი და განაგრძობს, – „ევროკავშირი რუსულ, ანტიდასავლურ პროპაგანდასთან საბრძოლველად, ფულს ხარჯავს, ხოლო საქართველოში რუსულ პროპაგანდას საქართველოს მთავრობა აფინანსებს. ამის მიზეზი ის არის, რომ მთავრობას ანტიდასავლური ძალები მოკავშირეებად მიაჩნია".

ხელისუფლებაში ბევრი ფიქრობდა, რომ ევროპულ კურსზე დაეჭვების საფუძველს 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირებისა და მასთან ერთად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გაფორმება მოხსნიდა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი პროცესი სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. ასოცირების ხელშეკრულების პოლიტიკური მხარის შესრულებაზე შეკითხვები ნაკლებია. მაშინ, როდესაც განსხვავებული ვითარებაა DCFTA-ს მიმართულებით. საქმე ისაა, რომ შეთანხმება, რომელიც ერთ წელზე მეტია ძალაშია, შესაბამისი სტანდარტის გათვალისწინებით, საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირის (500 მილიონზე მეტი ადამიანით დასახლებულ) შიდა ბაზარზე გზას უხსნის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდას.

DCFTA-ს პირობების შესრულებისა და ქართული ბიზნესის სასარგებლოდ მისი გამოყენების საკითხისადმი მიდგომა ყველაზე აშკარად წარმოაჩენს ევროპული კურსის მიმართ „ქართული ოცნების" ხელისუფლების დამოკიდებულებას.

ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის, კახა გოგოლაშვილის შეფასებით, თუ საქართველოში შესაბამისი სერტიფიცირებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურა ისე

გოგოლაშვილის შეფასებით, მთავრობის ძირითადი ყურადღება ძალიან მოკლევადიან პრობლემებზეა კონცენტრირებული. ამავე დროს, თუ ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვა საქართველომ 50%-მდე მაინც ვერ გაზარდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაცია მიმდინარეობს.

არ იქნება აწყობილი, რომ საქართველოში მარტივად სერტიფიცირებული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე შეუმოწმებლად გავიდეს, ძნელი სავარაუდოა, DCFTA-ს გამო ქართველმა ექსპორტიორებმა რეალური შედეგი მიიღონ. ისინი კვლავ ევროკავშირში სერტიფიცირებაზე იქნებიან დაქვემდებარებულები და ლაბორატორიების ძიება უცხოეთში მოუწევთ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძე „ლიბერალთან" საუბრისას ამტკიცებს, რომ ფიზიკურად შეუძლებელია, საქართველომ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში რომელიმე ვალდებულება არ შეასრულოს. „აქ სახელმწიფოს არანაირი ლავირების საშუალება არ გააჩნია. მკაცრად დადგენილი გრაფიკია. საკითხები ასე დეტალურად ევროკავშირის არც ერთი ამჟამინდელი წევრი ქვეყნის შემთხვევაში არ ყოფილა გაწერილი", – ამბობს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

გიგიაძის ინფორმაციით, დაახლოებით 2019 წელს საქართველომ უნდა დაამთავროს სკრუპულოზური, დეტალური დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელება. 2019 წელს რეფორმები შეფასდება. „ეს ხანგრძლივი პროცესია. დაგეგმილია 300-ზე მეტი ახალი კანონის მიღება, რათა საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის მოთხოვნებს დაუახლოვდეს. ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, საქართველო ამ პროცესს ბოლომდე მიიყვანს", – აცხადებს გიგი გიგიაძე. მისი თქმით, ევროკავშირში გაწევრიანებამდე (ვადის პროგნოზირება ურთულესია) საქართველოს სურს, ინტეგრაციის დაახლოებით ისეთივე დონეს მიაღწიოს, როგორიც ზოგ არაწევრ ქვეყანას აქვს, მაგალითად, ნორვეგიას და შვეიცარიას.

უახლოესი მომავლის დღის წესრიგზე საუბრისას გიგიაძე აღნიშნავს, რომ საქართველო მზად არის, ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადი (ევროკავშირის შესახებ შეთანხმების 49-ე მუხლის შესაბამისად) ნებისმიერ დროს გააკეთოს. მინისტრის მოადგილე გვიმხელს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ საკითხზე ევროპელ კოლე-

გებთან კონსულტაციას გადის. „როდის გაკეთებს განაცხადს, ეს დროის შერჩევაზეა დამოკიდებული. ამან არ უნდა გამოიწვიოს ნეგატიური განწყობა და არ თქვან, რომ ახლა ამის დრო არ იყო. გასათვალისწინებელია ევროპელი კოლეგების რჩევები", – ამბობს გიგიაძე.

ევროინტეგრაციისკენ პოლიტიკური ნაბიჯები დეკლარირებულ სურვილად რომ არ დარჩეს, აუცილებელია, დავაკვირდეთ, აქვს თუ არა საქართველოს ევროკავშირთან რეალური თანამშრომლობა და ინტეგრაცია.

რეფორმების ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობაზე უნდა აისახოს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნოდარ კერესელიძემ „ლიბერალს" უთხრა, რომ საქართველოში წარმოებული ცხოველური პროდუქცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში იმის გამო ვერ გადის, რომ სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სისტემა ევროკავშირთან ეკვივალენტური არ არის. თავად სისტემა ბევრ კომპონენტს მოიცავს, მათ შორის ჰიგიენას და სანიტარიას.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან საქართველომ თაფლის კონტროლის ვალიდაციის პროცესი დაიწყო, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება და თაფლის ხარისხის მაკონტროლებელი ლაბორატორია საერთაშორისო დონეზე იქნება აკრედიტებული. დღემდე ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი შემოწმების მეთოდისა და ლაბორატორიული კვლევის არარსებობა იყო.

„მომავალი წლიდან ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან ევროკავშირის ბაზარზე თაფლის გარდა, თევზის ექსპორტის შესაძლებლობა იქნება", – ამბობს იგი.

ნოდარ კერესელიძის თქმით, საკანონმდებლო კუთხით ცვლილებების მიღება დანარჩენ პროდუქტზეც მაქსიმალურად მცირე ვადაში არის შესაძლებელი, მაგრამ ეს კერძო სექტორს მძიმედ დააწვება. ზოგი ბიზნესი საერთოდ არ გეგმავს ექსპორტს და ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული და მძიმე ახალმა რეგულაციამ შესაძლოა მას საფრთხე შეუქმნას. როგორც კერესელიძე ამბობს, გეგმა წლებზეა გათვლილი.

მნიშვნელოვანია, ვნახოთ, რამდენად ახლო ურთიერთობა გვაქვს ევროკავშირის ბიზნესთან, რამდენია ერთობლივი საწარმო, ევროპული ინვესტიცია, არის თუ არა მზარდი ტენდენცია, გაიხსნა თუ არა ეს შესაძლებლობები, არის თუ არა ახალი სტიმული იმისათვის, რომ პროდუქცია ევროკავშირში მეტად გავიდეს, ან ევროკავშირიდან შემოვიდეს.

კერესელიძე საფინანსო რესურსების ნაკლებობაზეც საუბრობს. მისი თქმით, მიმდინარეობს დონორებთან მოლაპარაკებები, რათა მათ მთელი რესურსი ბიზნესის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიმართონ.

კახა გოგოლაშვილი კი მიიჩნევს, რომ საქართველომ თვითონ (და დონორების დახმარებით) თუ არ დააჩქარა საკუთარი პროცედურების იმპლემენტაცია, ევროკავშირთან ვაჭრობაში DCFTA-ის მეშვეობით გარღვევას რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც არ უნდა ველოდოთ.

როგორც გოგოლაშვილი ამბობს, ჯერ-ჯერობით, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა მზადდება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მისი თქმით, მეტი დაფინანსება და ინსტიტუტების სწრაფი განვითარებაა საჭირო. მაგალითად, მნიშვნელოვანია, სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობა, რომ მან თავისი ინსტრუმენტები სრულფასოვნად აამოქმედოს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ევროკავშირმა საქართველოში სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლისა და ევროკავშირის სტანდარტებთან ეკვივალენტობა ცნოს. ამის საფუძველზე ევროკავშირში საქართველოს პროდუქციის ექსპორტი გამარტივდება.

გოგოლაშვილი საჭიროდ მიიჩნევს მწარმოებელთა ადრეულ გაფრთხილებას და ხელშეწყობას იმისათვის, რომ საქართველოში წარმოების მოდერნიზებამ და განვითარებამ საქართველოს შიდა ბაზარზეც კი ევროკავშირის მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

ხელისუფლების ჩამოთვლილ პრიორიტეტებში ეს საკითხები არის, მაგრამ, როგორც გოგოლაშვილი ამბობს, სახელმწიფო კარგად არ არის ორგანიზებული იმისათვის, რომ ეს პრიორიტეტები განახორციელოს. „ის არც ფინანსურად და არც საკადრო რესურსით მზად არ არის", – მიიჩნევს იგი.

გოგოლაშვილის შეფასებით, მთავრობის ძირითადი ყურადღება ძალიან მოკლევადიან პრობლემებზეა კონცენტრირებული. ამავე დროს, თუ ევროკავშირთან სავაჭრო

ბრუნვა საქართველომ 50%-მდე მაინც ვერ გაზარდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაცია მიმდინარეობს. ევროკავშირის ბაზარი კი არის სტაბილური, დიდი და მასზე მიბმას ჩვენს რეგიონში უამრავი სახელმწიფო ოცნებობს.

კახა გოგოლაშვილის აზრით, ცუდი არაფერია იმაში, თუ ვინმეს რუსეთის ბაზარზე ფეხის მოკიდება სურს. იყო პერიოდი, როდესაც ევროპა რუსეთში ეკონომიკური ექსპანსიის შესაძლებლობას ხედავდა. გერმანიის ჩათვლით ბევრმა ქვეყანამ რუსეთთან საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა, რასაც ახლა ბევრი ნანობს. რუსეთში არასტაბილურმა გარემომ ყველა იმ ქვეყანას შეუქმნა საფრთხე, რომელმაც თავისი ეკონომიკა რუსეთს მაღალი ხარისხით დაუკავშირა. მაშინ, როდესაც ევროკავშირის ბაზარი კრიზისების დროსაც მაღალი მოთხოვნით ხასიათდება.

გოგოლაშვილის თქმით, ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი ქმედება, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ევროინტეგრაციის პროცესზე აისახება და ევროკავშირთან დაახლოების ვადების გადაწევას გამოიწვევს. ეს პროცესი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზეა დამოკიდებული, რომლის განხილვაც არა უბრალოდ ინსტიტუციურ, არამედ ფუნქციურ განზომილებაში შეიძლება.

მნიშვნელოვანია, ვნახოთ, რამდენად ახლო ურთიერთობა გვაქვს ევროკავშირის ბიზნესთან, რამდენია ერთობლივი საწარმო, ევროპული ინვესტიცია, არის თუ არა მზარდი ტენდენცია, გაიხსნა თუ არა ეს შესაძლებლობები, არის თუ არა ახალი სტიმული იმისათვის, რომ პროდუქცია ევროკავშირში მეტად გავიდეს, ან ევროკავშირიდან შემოვიდეს.

DCFTA საქართველოსთვის ეკონომიკური განვითარებისა და მოდერნიზების პერსპექტივებს იძლევა, ასევე კარებს ხსნის ევროკავშირთან მეტი კავშირის განვითარებისთვის, რაც საქართველოში დოვლათის ამაღლებასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაზე უნდა აისახოს.

დღევანდელი მთავრობის ვიწროპარტიული ხედვის პირობებში სულ უფრო იშვიათად გვესმის ცნობები იმის შესახებ, რომ ევროკავშირში ექსპორტის ხელშეწყობისთვის ინსტიტუციური ცვლილებები გატარდა, სპეციალური ორგანოები ჩამოყალიბდა და ა.შ. თორემ განზრახვის სისწორეში ძნელია ეჭვი შეიტანო.

4 ოქტომბერს „ქართული ღვინის დღე“ აღინიშნა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, უკვე მეორე წელია, 4 ოქტომბერს „ქართული ღვინის დღე“ აღინიშნება. წელს, საზეიმო ღონისძიებებმა მასშტაბური სახე მიიღო და თბილისის გარდა, თელავში, ქუთაისში, რუსთავსა და ამბროლაურში გაიმართა.

„ქართული ღვინის დღის“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფისში ქართული ღვინის ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა. ცენტრის გახსნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო. ქართული ღვინის ცენტრი ღვინის მცირე მუზეუმს, ენოთეკას, მარანს, სადეგუსტაციო ოთახებსა და სასწავლო აუდიტორიებს მოიცავს. დღის მთავარი ღონისძიება თბილისში, ვარდების მოედანზე გაიმართა. ტერიტორიაზე გაშლილი იყო კარვები, სადაც ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა მომხმარებელს თავისი პროდუქცია წარუდგინეს. მოეწყო ღვინის აღლუმიც - ქართული 525 ვაზის ჯიშით მოხატულ მაისურებში ჩაცმული მოხალისეების მსვლელობა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ღვინის თემატიკასთან დაკავშირებული ნახატების, ფოტოების, კულტურულ-ტრადიციული ნიმუშების და ღვინო-პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. გაიმართა კონცერტიც.

ღვინის დღის აღნიშვნის ძირითად მიზანს, ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ღვინის მოხმარების კულტურის ამაღლება წარმოადგენს.

www.georgianwine.gov.ge www.facebook.com/Wines.of.Georgia



„მე და საზოგადოება“ – რა „ემუქრება“ სამოქალაქო ცნობიერებას?

განათლების სამინისტრო მე-3, მე-4 კლასებში ახალი საგნის დანერგვას გეგმავს, თუმცა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან საგნის გარშემო გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებების გამო, განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცება გადავადდა. ასეთ შემთხვევებს ქართული საგანმანათლებლო სივრცე ჩვეული არ არის. რას მოიტანს საგნის გარშემო მიმდინარე დისკუსიები და არსებობს თუ არა კონსენსუსის მიღწევის პოტენციალი?

ლიკა ზაკაშვილი

ზოგადი განათლების სისტემის მიზანი მოსწავლისთვის მხოლოდ ცოდნის გადაცემა არ არის. საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წელს მიიღო დოკუმენტი, რომელშიც ცხადად გაიწერა ზოგადი განათლების მიზნები და ითქვა, რომ ყველაფერი, რასაც განათლების სამინისტრო სისტემაში გააკეთებს, მიზნების დოკუმენტთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს.

მაინც რას ამბობს მიზნების დოკუმენტი და ცოდნის გადაცემასთან ერთად კიდევ რა ევალება სკოლას? რაზე იღებს პასუხისმგებლობას?

მომცრო დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საფუძველია, ამბობს, რომ განათლების სისტემა მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს უვითარებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

ამავე დოკუმენტში წერია, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სკოლაში მიღებული გამოცდილების შედეგად და როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დოკუმენტში გაწერილ მიზნებს.

ჩამონათვალში ერთ-ერთი ეროვნული სასწავლო გეგმაა.

ეროვნული სასწავლო გეგმა დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილების, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, იმ მიღწევების უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, ასევე ამ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის საშუალებების აღწერას.

ეს არის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იწერება სასწავლო პროგრამები და იქმნება სახელმძღვანელოები. ეს არის მთავარი სახელმძღვანელო პედაგოგებისა და სკოლის სისტემის მართვაში ჩართული პირებისთვის.

ეროვნული სასწავლო გეგმების დოკუმენტი გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი, 3-4 წელიწადში ერთხელ რევიზიას გადის, რაც ნიშნავს იმას, რომ მასში, ახალი მოთხოვნებისა და ამოცანების შესაბამისად, ცვლილებები შედის. მაგალითად, შესაძლოა შეიცვალოს საათების განაწილება, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ჩამონათვალი, რომელსაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას.

დაწყებითი საფეხურის გეგმის რევიზიის პროცესი სამინისტრომ

2012 წელს დაიწყო და გადაიხედა გეგმის როგორც ადმინისტრაციული, ისე საგნობრივი ნაწილი. რევიზიის შედეგად გეგმაში, როგორც განათლების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლები ამბობენ, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ცვლილებებთან ერთად გეგმაში გაჩნდა ახალი საგანიც, რომელმაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის ვნებათაღელვა გამოიწვია.

„მე და საზოგადოება" – ასე ჰქვია საგანს, რომელსაც, დამტკიცების შემთხვევაში, მე-3, მე-4 კლასის მოსწავლეები ისწავლიან. ჯერჯერობით, არსებობს მხოლოდ სტანდარტი, რომელიც ამბობს, თუ რა მიზნის მიღწევა სურს ამ საგანს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ მისი დასრულების შემდეგ. სტანდარტის დამტკიცების შემდეგ დაიწერება პროგრამა და შეიქმნება საგნის სახელმძღვანელო წიგნი.

საგანს – „მე და საზოგადოება", სტანდარტის მიხედვით, შემდეგი მიზნები აქვს:

- დაეხმაროს საკუთარი თავის პიროვნებად აღქმაში; განუვითაროს თვითგამოხატვის უნარი; ასწავლოს, პირისპირ შეხედოს დაბრკოლებებს და იპოვოს საკუთარ თავში მათი გადალახვის ძალა;
- ხელი შეუწყოს სოციალიზაციაში; ჩამოუყალიბოს მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახისა და თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ; გააცნობიერებინოს, რომ სამშობლოს სიყვარული თავის უშუალო გარემოზე ზრუნვით იწყება;
- შესძინოს საბაზისო ცოდნა მშობლიური გარემოს შესახებ; გამოუმუშაოს გარემოში ადეკვატურად და ზნეობრივად მოქმედების უნარი;
- საკუთარი ქვეყნის მაგალითების საფუძველზე გამოუმუშაოს ასაკთან შესაბამისი წარმოდგენა ადამიანების, მოვლენების, კულტურისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შესახებ.

განათლების სამინისტროში ამბობენ, რომ საგანს კეთილშობილური მიზნები აქვს და ის სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც სკოლაში მოსწავლეს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება უნდა ჩამოუყალიბდეს.

სამინისტროს პოზიციას არ იზიარებენ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფები. მოწინააღმდეგეთა მხრიდან გამოთქმულ შენიშვნებში იკვეთება, რომ ისინი არ იზიარებენ საგნის მიზნებს და მიაჩნიათ, რომ ეს საგანი, სამოქალაქო განათლების ნიღბის ქვეშ, კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ ტრადიციებს უპირისპირდება.

„ახალი საგნის („მე და საზოგადოება") სწავლების დაწყება დაგეგმილია მე-3, მე-4 კლასიდან და წარმოადგენს ე.წ. ახალი აზროვნების ნიმუშს, რომელიც მთელ მსოფლიოში მრავალფეროვნებისა და ტოლერანტულობის ნიღბის ქვეშ უპირისპირდება კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ ტრადიციებს." – ეს არის ამონარიდი მიმართვიდან, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში პრემიერ-მინისტრის სახელზე, კანცელარიის შენობაში, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" წარმომადგენელმა, დიმიტრი ლორთქიფანიძემ, თბილისის საკრებულოს წევრმა, სოსო მანჯავიძემ და დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორმა, ზვიად ტომარაძემ დატოვეს.

ამ განცხადებამდე, მაისში, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგ მეუფე გრიგოლმა მედიასთან კომენტირებისას განაცხადა, რომ განათლების სისტემაში ცოდნის ამაღლებასთან ერთად ყურადღება აღზრდის საკითხებსაც ეთმობა და სწორედ ამ კონტექსტში, ახალი საგნის დანერგვამდე უნდა მოხდეს ამ პროექტის განხილვა, როგორც ეკლესიის, ასევე საზოგადოებისა და რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობით.

„სახელმძღვანელოები გამიზნულია სწორედ იმ მიმართულებით, რომ აღზრდის თემას ყურადღება დაეთმოს, მაგრამ რჩება მთელი რიგი საკითხები, რომლებიც პასუხის გაცემას მოითხოვს." – განაცხადა მეუფე გრიგოლმა.

სინოდის სხდომის დასრულებიდან მალევე სამინისტრომ საპატრიარქოს ღიაობა აღუთქვა და საგნის განხილვა კარს მიღმა დაიწყო. როგორ ჩაიარა საპატრიარქოსთან კარს მიღმა გამართულმა განხილვებმა, ამის შესახებ საზოგადოებას სამინისტროსგან ინფორმაცია არ მიუღია, შესაბამისად, იყო მოლოდინი, რომ ახალ საგანთან დაკავშირებული „გაუგებრობა", როგორც ამას განათლების მინისტრი უწოდებდა, ამოიწურა.

თუმცა აგვისტოში ყოფილი დეპუტატისა და საკრებულოს წევრის, სოსო მანჯავიძის მიმართვის ტექსტმა ცხადყო, რომ სამინისტროსა და საპატრიარქოს შორის საგნის გარშემო მიმდინარე განხილვა არ დასრულებულა და კითხვები ისევ პასუხგაუცემელია.

პრემიერ-მინისტრისთვის გაგზავნილი მიმართვის ავტორები საგ-

ნის დაშვების შემთხვევაში სკოლებში სწავლების წინააღმდეგ მთელი რიგი ღონისძიებების გამართვით იმუქრებიან, კერძოდ, საჯარო სკოლებში შეიქმნება მშობელთა საგანგებო კომიტეტები, რომლებიც ადგილებზე ეცდებიან საგნის სწავლების ბლოკირებას.

ამ მიმართვიდან მალევე, სექტემბრის დასაწყისში, ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში, ახალი საგნის შემოტანის ინიციატივაზე გადაცემა „სვოტ ანალიზში" იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის დამფუძნებელმა და დემოგრაფიული განვითარების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან ვასაძემ ისაუბრა.

საგულისხმოა, რომ ვასაძეს მხოლოდ საგან „მე და საზოგადოების" შესახებ არ გამოუთქვამს მოსაზრებები. მან ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტზეც ისაუბრა, რომელიც, მისი თქმით, იდეოლოგიზებულია და ეროვნული სასწავლო გეგმა ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული არ უნდა იყოს. ახალ საგანს კი „კატასტროფული" უწოდა.

„მე და საზოგადოება" – ...ეს ძალიან კარგად შეფუთული პროგრამაა. მიამიტი ადამიანი წაიკითხავს და იტყვის, რომ იქ კარგი რაღაცები წერია, გარემოს დაცვა, პასუხისმგებლობა და ა.შ. თუმცა შეიძლება, საგანს ერქვას „მე და საზოგადოება" და არსად ეწეროს დედა და მამა?" – განაცხადა ვასაძემ.

ვასაძის გამოსვლის შემდეგ, Manifest.Ge-ზე საგან „მე და საზოგადოების" მხარდასაჭერ პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. საგნის მხარდასაჭერი განცხადება გაავრცელა კოალიციამ „განათლება ყველასათვის – საქართველომაც", რომელიც განათლების სფეროში მოღვაწე 13 საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთიანებს.

„მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო განათლების როლი უმნიშვნელოვანესია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად, რაც, თავის მხრივ, დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მოქალაქის აღზრდას გულისხმობს".

პრემიერ-მინისტრისთვის გაგზავნილი მიმართვის ავტორები საგნის დაშვების შემთხვევაში სკოლებში სწავლების წინააღმდეგ მთელი რიგი ღონისძიებების გამართვით იმუქრებიან, კერძოდ, საჯარო სკოლებში შეიქმნება მშობელთა საგანგებო კომიტეტები, რომლებიც ადგილებზე ეცდებიან საგნის სწავლების ბლოკირებას.

სამოქალაქო განათლების პედაგოგის, მანანა უშვერიძის თქმით, ლევან ვასაძის ინტერვიუ წარმოადგენს სამოქალაქო განათლების შესახებ საზოგადოების დეზინფორმირების მიზანმიმართულ მცდელობას.

„სამოქალაქო განათლება ბავშვებს საკუთარ გარემოსა და ქვეყანაზე ზრუნვას ასწავლის და მათში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის აღზრდას უწყობს ხელს, რაც ასე ჰაერივით სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას. ამ საგნის სწავლება კითხვის ნიშნის ქვეშ კი არ უნდა დადგეს, არამედ იმ მიზნით უნდა წარიმართოს მუშაობა, რომ სკოლებში საგნის სწავლების ხარისხი გაუმჯობესდეს."

განათლების სამინისტროში ამბობენ, რომ საპატრიარქოსთვის საგანი კონცეპტუალურად მისაღებია და საგნის მიზნების წინააღმდეგი არავინაა. მსჯელობა კი ძირითადად ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. მაგალითად, სტანდარტში სიტყვა „ტოლერანტი" „შემწყნარებლობამ" ჩაანაცვლა.

მინისტრის მოადგილის, ლია გიგაურის თქმით, სავარაუდოდ, განხილვა 15 ოქტომბრამდე უნდა დასრულდეს, რადგან მინისტრმა უნდა დაამტკიცოს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, უნდა დაიწეროს პროგრამები და გამოცხადდეს კონკურსი სახელმძღვანელოების შექმნაზე.

როგორ დასრულდება საპატრიარქოსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ახალი საგნის სტანდარტის განხილვა, ჯერჯერობით, ბუნდოვანია. სამინისტრო პროცესს ოპტიმისტურად უყურებს და ამბობს, რომ მის განხილვაში საზოგადოების ასეთი ფართო ჩართულობა მისაღები და მოსაწონია.

თუმცა დიდი ალბათობით, სკოლებში სამოქალაქო განათლებისა და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებაზე ორიენტირებულ საგნებზე „თავდასხმები" მარტივად არ დასრულდება. საზოგადოების ნაწილისთვის მიუღებელი სწორედ ის დოკუმენტია, რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნა საგანი „მე და საზოგადოება". საჭიროა, უფრო ღია და საჯარო გახდეს ამ კონცეპტუალური დავის შინაარსობრივი დეტალები, ისევე, როგორც განხილვის პროცესი. ახალი საგნის ბედიც ამაზე იქნება დამოკიდებული.

„ეკონომიკურ დაინახავ ან, ‘ბრილიანტ მოგვს.“ – ამბობენ ადგილობრივები. ბავშვები აქ ინფიანიან მოგზაურები. სოფლის სკოლაში სულ 13 მოსწავლე დადის.

შემოდგომა გუდამაყარში

ავტორი, ფოტო: სოფო აფციაური

რამდენიმე თვის წინ დუშეთის რაიონში რეპორტაჟის გადასაღებად გავყევი თანამშრომელს. ფერდობზე კანტიკუნტად შეფენილი სახლების ამბავი უნდა მოგვეყოლა. იქაურობა თოვლით იყო დაფარული, ციოდა და გზა მოყინული იყო. სოფელ მანასეულში ლუკა გავიცანით, პირველკლასელი ბიჭი, რომელიც სოფლის სკოლაში ბავშვების სიმცირის გამო ვერ მივიდა. კლასში ერთადერთი მოსწავლე უნდა ყოფილიყო. ამიტომ დედამ ფასანაურის საჯარო სკოლაში შეიყვანა.

ლუკას სკოლამდე მისასვლელად ყოველდღე გრძელი, თოვლიანი გზის ჯერ ფეხით, შემდეგ კი „მარშრუტკით“ გავლა უწევდა. ლუკას დედამ მაშინ გვითხრა, რომ გუდამაყარში ასევე ცხოვრობდა ბავშვი, რომელიც სოფლის სკოლაში ერთადერთი იყო.

ოქტომბრის ცივ, წვიმიან დღეს გუდამაყრის ისედაც თითქმის დაცარიელებული სოფლები კიდევ უფრო მიტოვებულად გამოიყურება. ფასანაურიდან გასვლისთანავე დანგრეული გზა იწყება. აქა-იქ ფერდობზე რამდენიმე სახლი მოჩანს, მაგრამ ეტყობა, რომ მათ აქ მხოლოდ ზაფხულში აკითხავენ.

სოფელი მაქართა. კლდეებზე შეფენილი რამდენიმე სახლი. კახა წიკლაური აქაურია, ცოტა სიტყვაძუნწი. გვიყვება, რომ სკოლა, სადაც ოთხი წელი მხოლოდ ერთი ბავშვი სწავლობდა, მისი სახლის გვერდითაა.

„2 წელია, ის ბავშვი სოფელ კიტოხში გადავიდა“.

კიტოხი ნახევარი საათის სავალზეა. გზა უფრო და უფრო ფუჭდება. არაგვის ხეობაში, მდინარის გასწვრივ დაჟანგული რკინის კონსტრუქციები ყრია, ნახევრადდამპალ ხის ძელებზე ელექტროსადენები რკალებადაა ჩამოწოლილი. გზებზე ბევრი საფლავია, რამდენიმე მათგანთან დაღუპულის სახელობის წყაროა გაკეთებული.

ლურჯად შეღებილი ჭიშკარი ღიაა. 75 წლის ნინო წიკლაური შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს. წუხელ საქონელი დაჰკარგვია, მთელი დილა ტყეში იყო გასული, ვერ იპოვა და ნერვიულობს.

„ნადირი როგორ არ იცის, დათვი,

„წუხელ ძროხა დამეკარგა. მთელი ღამე წვიმდა და არ ვიცი, გზა აერია თუ ნადირი დაეცა. დილიდან ვეძებ, ტყეში ბევრია დათვი და მგელი“. ნინო წიკლაური. სოფელი კიტოხი

მგელი. ტყეში რომ ვცხოვრობთ, აბა როგორ?“.

წინათ სოფელში ბავშვთა ინტერნატი იყო. ნინო 10 წელი მზარეულად მუშაობდა. მერე დაიხურა, სკოლაში დამლაგებლად მოეწყო.

ამბობს, რომ სოფელი ახალგაზრდებისგან იცლება. 10 წლის წინ სოფელში 300 ოჯახი ცხოვრობდა, ახლა ზამთარში სულ ოთხი ადამიანი რჩება. გზები ხშირად იკეტება. ზაფხულში მდინარის ადიდების დროს გზებზე მეწყერი წვება. სოფელში არ არის საბავშვო ბაღი: „რად გვინდა საბავშვო ბაღი, ბავშვები აქ არ არიან“.

მისი შვილიშვილი ნინო 20 წლისაა, სხვა სოფელში ცხოვრობს, მაგრამ ბებიას ღამე მარტო დარჩენა უჭირს და ახლა მასთანაა.

ნინომ სკოლა ორი წლის წინ დაამთავრა. დუშეთში სამედიცინო, პროფესიული სასწავლებელი უნდა გახსნილიყო, სადაც ექთნის პროფესიის შესწავლა უნდოდა, მაგრამ სასწავლებელი არ გაიხსნა. თბილისში ჩამოსვლის შემთხვევაში, დაანგარიშებული აქვს, რა თანხა სჭირდება:

„300 ლარი ბინის ქირისთვის, სწავლის, გზის, არსებობის თანხა – წარმოუდგენელია, ასეთ რეალობაში, იმაზე ფიქრი, რომ უმაღლესში ჩავაბარო, ან რამე პროფესია შევისწავლო“, – ამბობს ნინო.

მათი სახლის გვერდით ქვემო გუდამაყარში ერთადერთი, სოფელ კიტოხის სკოლაა, სადაც ბავშვები სხვადასხვა სოფლიდან დადიან. დღის 3 საათია. გაკვეთილები უკვე დამთავრდა, ბავშვები არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ სიბუნეა. ძველი, ნახეცრადდანგრეული შენობები უფუნქციოდ დგას. ეზოში ახალგაზრდები ისვრიათად გეტოდებიან. ზამთარი გუდამაყარი თოვლის ცარიელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათ დღეს [illegible] მოდებული ავტ[illegible] ულოდებინ მიდელი სოფლიდან. მძღოლს ზოგისთვის დქვილი, ზოგისთვის შაქარი, ზოგისთვის კი ნამლები მოაქვს.

ჩანან: „სკოლაში შესვლას აზრი არ აქვს, არავინაა", – მესმის უკნიდან კაცის ხმა.

შალვა ქავთარაძე მათემატიკას ასწავლის. ნანობს, რომ რამდენიმე წლის წინ მეგობარს დაუჯერა და ფასანაურიდან აქ გადმოსახლდა. ძველი ინტერნატის შენობაში ცხოვრობს. სკოლაში 13 მოსწავლე ჰყავთ.

„ეხუმრობთ ხოლმე, სკოლაში მოსწავლეებზე მეტნი მასწავლებლები ვართო. რეალურად, აქ მხოლოდ ამავე მასწავლებლების შვილები დადიან. აქედან წასვლა მინდა, მაგრამ ბავშვებს ვერ დავტოვებ", – ამბობს შალვა და შვიდგზის ლოცვების ნასაკითხად იქვე ეკლესიაში გვეპატიჟება. მეტყველების სწრაფი, ოდნავ ნერვოტული მანერით, გვაგრძნობინებს, რომ, თუ არ შევყვებით, ენყინება.

ბოლო სოფელი, რომელშიც მანქანით გადაადგილებაა შესაძლებელი – ჩოხია. აქ, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევენ. ფერდობზე ცხვრები ნერტილებად მოჩანს, თითქოს ერთ ადგილზე არიან გაქვავებულები. გზაზე მეცხვარე ძაღლები დაბორიალობენ.

ირგვლივ ისეთი სიჩუმეა, გვგონია, რომ აქ ნლებია ადამიანს ფეხი არ დაუდგამს. ერთ-ერთი სახლის აივანზე ფერადი, მთიულური ხალიჩაა გადმოკიდებული. 23 ნლის მარიამი ჩოხში ერთადერთია, ვისაც მცირენლოვანი შვილები ჰყავს. 4 ნლის ნიკოლოზი და 5 თვის ალექსანდრე რამდენიმე წუთის წინ დააძინა და ხმადაბლა გვესაუბრება. ფასანაურში ცხოვრობდა. გათხოვდა და შვილებთან, ქმართან და დედამთილ-მამამთილთან ერთად ორსართულიან სახლში ცხოვრობს. არავინ მუშაობს, სოციალური დახმარებაც ერთი თვის წინ მოუხსნეს. სარჩენად მხოლოდ საქონელი ჰყავთ.

ნიკოლოზი ორ ნელინადში სკოლაში უნდა შევიდეს, ამიტომ აქედან გადასვლა მოუნევთ. ჩოხში სკოლა არ არის, კიტოხის სკოლაში ვერ ივლიან:

„ზამთარში გზა კიტოხამდეც კი იკეტება, ხანდახან ეზოში გასვლაც შეუძლებელია. ფასანაურში, ჩემს მშობლებთან ნავალ, ალბათ".

ბაჩო სოფელ კიტოხში ცხოვრობს. ადრე ამ სოფლის სკოლაში ერთადერთი მოსწავლე იყო. ჩოხის სკოლაში ერთადერთი მეექვსეკლასელია: „სკოლას რომ მოვრჩები, წავალ, მესაზღვრე უნდა გამოვიდე“.

გუდამაყარში არც საავადმყოფოა. ექიმი თბილისიდან კვირაში ერთხელ ამოდის:

„ნიკოლოზზე ორსულად რომ ვიყავი, ჩამოთოვა. ექიმთან კონსულტაციაზე ვერ მივდიოდი. ორივე ბავშვი დუშეთის რაიონში გავაჩინე, იქაც ცუდი პირობები იყო, მახსოვს, მე თვითონ ვალაგებდი, რომ ბავშვი სუფთად ყოფილიყო. ახლაც სულ მეშინია, ექიმი არ დაგვჭირდეს”, – გვიყვება მარიამი.

სოფლებში ტრანსპორტი კვირაში ორჯერ დადის. კვირას – ფასანაურიდან, ორშაბათს – თბილისიდან. სოფლის გაჩერებაზე მოხუცებული ქალი გვხვდება, ძველ ჯიხურთან ქვის სკამი გდია, აქ ელოდება ხოლმე ავტობუსს, რომელსაც წამლები ჩამოაქვს.

ჩოხის მერე გზას ვეღარ ვაგრძელებთ. მავიწყდება, რომ გუდამაყარში ბავშვის მოსაძებნად წამოვედი, რომელიც სკოლაში მარტოა.

დაცარიელებული გარემოს ნახვის მერე, აღარ მაკვირვებს ბავშვის ამბავი. უკანა გზა კიდევ უფრო რთული გასავლელი ჩანს. მოსავალი ბევრია, ირგვლივ ხეები ნაყოფითა დახუნძლული, კაკალი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კომში და ასკილი...

ბაჩო გზაში შემთხვევით გვხვდება, მეგობართან და თეთრ ძაღლთან ერთად. ბიჭები თხილს აკნატუნებენ.

ახლა მეექვსე კლასშია, ოთხი წელიწადი მაქართის სკოლაში მარტო დადიოდა. მეხუთე კლასში კიტოხში გადავიდა, დილით მეორე სოფლამდე სკოლის მანქანას დაჰყავს. დედაც ამავე სოფელში, მოხუცებულს უვლის. სკოლის გარდა კიტოხში ბიჭები ფეხბურთის სათამაშოდაც დადიან ხოლმე.

კლასში ახლაც ერთადერთია.

„სკოლას რომ დავამთავრებ, ალბათ, წავალ. მესაზღვრე უნდა გამოვიდე, რამდენიმეს ვიცნობ და კარგი პროფესიაა“, – გვეუბნება და სწრაფი ნაბიჯით მიდის, ბეზრდება ჩვენთან ლაპარაკი.

მესაზღვრესავით დგას ქართველი გამომგონებლის, ვლადიმერ ბექაურის ძეგლიც გუდამაყრის გამოსასვლელში. აქაური ყოფილა. ხელები ზურგზე უწყვია, წელში გამართული ზემოდან იყურება, მოლურჯო ფერის ქვაზე ტალახის ნაკვალევი ატყვია.

გზაზე ყვითელი ავტობუსი მოხრიგინებს. გაჩერებაზე მდგარი მოხუცი ბებო რამდენიმე წუთში თავისი წამლებით სახლის გზას გაუყვება. ღამე აქ უფრო მეტი სიჩუმე დაისადგურებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

TBILISI PHOTO FESTIVAL 2015

TBILISI PHOTO FESTIVAL 2015-ის პროგრამაში, რომლის გახსნის კვირეულიც 25 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე გაიმართა, 200-მდე ევროპელი, ქართველი და რეგიონალური ფოტოგრაფის ნამუშევარი იყო ნაჩვენები.

ფოტოფესტივალმა 2015 წლის გამოშვებით კიდევ უფრო განიმტკიცა კავკასიის რეგიონში ყველაზე მასშტაბური ფოტოგრაფიული ღონისძიების რეპუტაცია. თბილისი კავკასიის რეგიონში ფოტოგრაფიის განვითარების უმნიშვნელოვანეს პლატფორმად რჩება.

TBILISI PHOTO FESTIVAL-მა არც 2015 წელს უღალატა ტრადიციებს და ახალგაზრდა რეგიონალური ფოტოგრაფიის მხარდაჭერის პარალელურად, ფესტივალის მნახველებს მსოფლიო ფოტოგრაფიის ვარსკვლავების გამოფენები შესთავაზა. პროგრამაში მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ფოტოსააგენტოს Magnum Photos ორი წევრის – იტალიელი ალექს მაიოლის (Alex Majoli) და ფრანგი ანტუან დ'აგატას (Antoine d'Agata) ექსკლუზიური გამოფენები შედიოდა. ეს ფოტოები სპეციალურად თბილისის ფოტოფესტივალისთვის შეირჩა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო კლაუდია ჰეინერმანის, მიჰალ ივანოვსკის და ინდრე შერპიტიტეს პოლონურ-ლიტვურ-გერმანული პროექტი „ომის შემდგომი ამბები", რომელიც ლიტვასა და აღმოსავლეთ პრუსიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა ოკუპაციის შედეგების გააზრებას ისახავს მიზნად; ლიტველი ფოტოგრაფის ვიტაუტას სტანიონისის გამოფენა „ფოტოები დოკუმენტებისთვის". ფესტივალის პროგრამის ნაწილი იყო ასევე შეხვედრები ლიტველ წიგნის დიზაინერთან, ტომას მრაზაუსკასთან, ფრანგ ფოტოგრაფ ანტუან დ'აგატასთან; დიდი მრგვალი მაგიდა ქალი ფოტოჟურნალისტების მონაწილეობით და ფრანგი ფოტოჟურნალისტების პროექტის #DYSTURB ერთ-ერთ ავტორთან, ბენჯამენ ჟირეტთან.

2015 წლის ფოტოგრაფიის ღამე კი, რომელიც 2010 წლიდან დაიწყო და საქართველოს დედაქალაქში უკვე მეექვსედ გაიმართა, ძველი თბილისის ქუჩებში განთავსებულ ეკრანებთან მაყურებლის რეკორდულ რაოდენობას მოუყარა თავი. ფოტოგრაფიის ღამის პროგრამაში ქართველი და ევროპელი პარტნიორების ასევე რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექს მაიოლი

Magnum Photos

საქართველო. დისნიცი, 2009. სამხრეთ ოსეთის გამშვები საკონტროლო პუნქტი სნაიპერის მონოკლიდან

„მთელი ხმით. საქართველო 2008–2009“

იტალიელი ფოტოგრაფის, სააგენტო „მაგნუმის“ წევრის ალექს მაიოლის გამოფენა სპეციალურად Tbilisi Photo Festival 2015-სთვის დაკომპლექტდა და ორ დიდ სერიას აერთიანებს: პირველი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდშია გადაღებული და მეორე, ომის დამთავრებიდან 1 წლის შემდეგ საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს გადაღებულ ფოტოებს მოიცავს.

გამოფენის სათაური ვლადიმირ მაიაკოვსკის ცნობილი ლექსით „მთელი ხმით“ არის ინსპირირებული.

მარჯვნივ: საქართველო, გორის გარეუბანი, აგვისტო, 2008. ხალხის რიგი საკვები პროდუქტების გამანაწილებელ პუნქტში, რუსი სამხედროების კონტროლის შეწყვეტიდან ერთი კვირის შემდეგ.

ქვევით: საქართველო. ტყვიავი, 2009. ომის კვალი პოსტის შენობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანტუან დ'აგატა

Magnum Photos

„დაბნელება. საქართველო 2009"

„დაბნელება", ფრანგი ფოტოგრაფის ანტუან დ'აგატას მიერ 2009 წელს საქართველოში გადაღებული ფოტოების სერიას აერთიანებს. გამოფენა სპეციალურად დაკომპლექტდა თბილისი ფოტოფესტივალი 2015-ისთვის და მისი მსოფლიო პრემიერაც სწორედ ფესტივალის ფარგლებში შედგა.

2016 წელს Tbilisi Photo Festival-ის ინიციატივით, ანტუან დ'აგატას პირველი ქართული წიგნიც გამოიცემა იმავე სახელწოდებით.

ვიტაუტას სტანიონისი

ფოტოეგი დოკუმენტებისთვის

1946 წელია. ომის შემდგომ ოკუპირებული ლიტვა. ახალი მთავრობა პასპორტებს ცვლის. ვოზბუცკის სახლში მოწყობილ ფოტოსტუდიაში ალიტუსიდან მოწვეული ფოტოგრაფი ვ. სტანიონისი სეირიჯაის და მიმდებარე რაიონების მოსახლეობას ფოტოებს უღებს. მოთხოვნები რთული არ არის: ფანჯრიდან შემოსული სინათლეც საკმარისია, ისევე როგორც უბრალოდ ყველაზე სუფთა ზეწარი ფონად. ისინი ტილოს გვერდით წყვილებად სხედან: ცოლი და ქმარი, მამა და შვილი, ძმები, დები, მეზობლები.

1966 წელს, ამ ფოტოსესიიდან 20 წლის შემდეგ, სტანიონისი გარდაიცვალა. მისი შვილი ვიტაუტასი მაშინ მხოლოდ 17 წლის და, როგორც თვითონ ამბობს, გამოთაყვანებული იყო. მამამისის არქივებს მან დაახლოებით 1984-1985 წლებში მიაგნო. ამ დროისათვის მას უკვე ჰქონდა ფოტოგრაფიის გარკვეული გამოცდილება და მასალა ძალიან საინტერესოდ მიიჩნია. პირველად მამამისის გადაღებული ფირიდან დაბეჭდილი საპასპორტო ფოტოების გამოფენა ვილნიუსში 1987 წელს გაიმართა. მოგვიანებით ამ პორტრეტების გამოფენა მრავალ ქვეყანაში მოეწყო.

ვიტაუტას უმცროსი ნეგატივებისგან დამზადებულ საპასპორტო ფოტოგრაფიებს არ აცალკევებს, არ მალავს პერფორაციას და სურათები დაუჭრელი და გადიდებული გამოიფინება. სწორედ ასე ხორციელდება ქმედება, რომელიც სრულად საწინააღმდეგოა იმისა, რაც მამამისმა გააკეთა; ამ ჟესტით და ორიგინალი გამოსახულების გამომზეურებით ხდება მათში არსებული რეალობის ასახვა და იმის დემონსტრირება, როგორ იღებდნენ საპასპორტო ფოტოებს 40-იანი წლების ლიტვაში.

ანონიმური გამოსახულებები, რომლებიც ოდესღაც კონკრეტული ადამიანების პიროვნებას ადასტურებდნენ, ახლა კარგავენ თავიანთ იდენტურობას და ომის შემდგომი ბედისწერის ერთგვარ მეტაფორად ან ალეგორიად იქცევიან (საბუთებისთვის გადაღებული ფოტოსურათების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, პარადოქსთან გვაქვს საქმე: ფოტოგრაფიაზე გამოსახული ადამიანების ვინაობა უფრო ხშირად არის ცნობილი, ვიდრე გადამღების, მაშინ როდესაც ამ შემთხვევაში საქმე საპირისპიროდაა). როდესაც კონტექსტი იცვლება, სხვა ხედვა ჩნდება, და სხვა დამოკიდებულება.

მიხალ ივანოვსკი

ინდრე შერპიტიტე

კლაუდია ჰეინერმანი

ომის შემდგომი ამბები

კლაუდია ჰეინერმანი / მიჰალ ივანოვსკი / ინდრე შერპიტიტე

წელს მსოფლიო მეორე მსოფლიო ომის დასრულების 70-ე წლისთავს აღნიშნავს. სამწუხაროდ, ომის შემდგომმა პერიოდმა ლიტვას არანაირი შვება არ მოუტანა, რადგან ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე მეორე საბჭოთა ოკუპაცია დაიწყო: სასტიკი პარტიზანული ბრძოლები, დასავლეთის მიმართულებით ემიგრაციის მესამე მასობრივი ტალღა, დაუსრულებელი დეპორტაცია. ფაქტობრივად, არც ერთი ოჯახი არ დარჩენილა, რომელსაც მსოფლიო ომის შემდგომი მოვლენები არ შეხებია. ფოტოგამოფენა „ომის შემდგომი ისტორიები" გახლავთ ვიზუალური მონათხრობი თანამედროვე ხელოვნების ენაზე, რომელიც მკაფიოდ აღწერს ომის შემდეგ ლიტვაში განვითარებულ მოვლენებს და ახლებურად ახდენს წარსულის აქტუალიზაციას. გამოფენა წარმოგიდგენთ ფოტოგრაფებს, რომლებიც შემოქმედთა ახალგაზრდა და საშუალო თაობის წარმომადგენლები არიან და, შესაბამისად, ომის საშინელებები თავად არ განუცდიათ. თუმცა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შექმნილი ფოტოგრაფიათა ეს სერიები მათ ოჯახში ან სამშობლოში მომხდარ ტრაგიკულ ფაქტებთან არის დაკავშირებული.

გამოფენის კურატორი: იევა მეულიტე-სვინკუნიენე.
პროექტი დააფინანსა ლიტვის კულტურის საბჭომ.

მიხალ ივანოვსკი

მიხალ ივანოვსკის (დაბ., 1977, პოლონეთი/უელსი) ფოტოგრაფიული პროექტი „ადამიანებისგან მალულად" თავისი ოჯახის ისტორიით არის შთაგონებული: 1945 წელს ფოტოგრაფის ბაბუა ლიტვიდან საბჭოელებმა გადაასახლეს; თუმცა ძმასთან ერთად კალუგის შრომითი ბანაკიდან გაიქცა და სამშობლოში დასაბრუნებლად 2 000 კმ-ზე მეტი გაიარა; ძირითადად - ფეხით, ადამიანებისგან მალვით (ვინმეს რომ არ გაეცა), ღამღამობით. ხელოვანმა, რომელსაც ამ ისტორიის უშუალოდ ბაბუისგან მოსმენის შესაძლებლობა არ ჰქონია, მაგრამ ინფორმაცია ამ თავგადასავლის შესახებ ბაბუის ძმის დღიურებიდან შეიტყო, 2013 წელს გადაწყვიტა, თავად გაევლო ეს გზა: რუსეთის ტყეებიდან ბელარუსის და ლიტვის გავლით მან სიმბოლურად გაიმეორა ბაბუის ეპიკური მოგზაურობა და ალბათ უკეთესადაც გაიგო, რის გავლა მოუხდა მის წინაპარს გადარჩენისათვის. გარემომცველ ხედებზე დაკვირვებით ხელოვანი ინტუიტიურად ასახავს ლანდშაფტს ისე, როგორც მას ბაბუამისი ხედავდა თითქმის 70 წლის წინ (ან მასთან ძალიან მიახლოებულად). ამით ის ცდილობდა, გარკვეულწილად აღედგინა წარსული, რომლის შესახებაც, ფაქტობრივად, თითქმის არაფერი იცოდა და წარმოედგინა იგი სუბიექტური ვიზუალური მონათხრობის მეშვეობით.



ინდრე შერპიტიტე

ლიტვაში დაბადებული, მაგრამ მოზარდობის ასაკიდან დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ინდრე შერპიტიტე (დაბ., 1983) თავის ფოტოებში მეხსიერების, ტრავმისა და დაკარგვის საკითხებს აანალიზებს. ფოტოგრაფის აზრით, ფაქტი, რომ უცხო ქვეყანაში გაიზარდა, საკუთარი ქვეყნის ისტორიაში უფრო კრიტიკულად ჩახედვის საშუალებას აძლევს. შეგრძნება, რომ სამშობლოში მისი ადგილი აღარ არის, აიძულებს, ფესვები ეძიოს; შესაბამისად, ხელოვანი ცდილობს, აღადგინოს მემკვიდრეობად მიღებული მეხსიერება, ხელშესახები გახადოს წარსული.

შერპიტიტეს ნამუშევართა სერია „ტყის ძმები" ცივ სტილისტიკაში დაფიქსირებულ უღრანი ტყის ფრაგმენტებს წარმოგვიდგენს, და ეს ლიტველი პარტიზანების ბრძოლის მეტაფორად გვევლინება. ოჯახებიდან და სახლებიდან გაქცეული პარტიზანები თავშესაფარს ტყეში პოულობდნენ; ტყე არა მხოლოდ მათი სამალავი, არამედ სახლი და, ხშირად, სიკვდილის ადგილი და საძმო სასაფლაოც კი ხდებოდა. ფოტოგრაფიებზე ასახულია ტყის ლაკონიური გამოსახულებები, რომლებიც სიჩუმითა და დანაკარგის სიმწრითაა აღსავსე.

სერიაში „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შენობების ისტორია" ფოტოგრაფი სურათებს უღებს ხის პატარა სახლებს, რომლებიც სპეციალურად ამ სერიისთვის შეიქმნა; ნაცრისფერ ფონზე თითქოს მშვიდობიანი ცხოვრება მიმდინარეობს და ეს სახლებიც ფოტოგრაფიის კონტექსტს მოწყვეტილ სკულპტურულ ობიექტებად იქცევიან. სახლები დამზადდა ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საკონტროლო, დაკითხვის, დაკავებისა და წამების ცენტრების ფოტოგრაფიების საფუძველზე. ეს ცენტრები მრავალი ქალაქისა და სოფლის უბრალო სახლებში იყო განთავსებული. ინდრეს თქმით, „ჩვეულებრივ, ჩვენთვის სახლები უსაფრთხოებასთან ასოცირდება; თუმცა ისინი ციხეებად და წამების ადგილებად აქციეს".

კლაუდია ჰეინერმანი

კლაუდია ჰეინერმანის (დაბ., 1967, გერმანია/ჰოლანდია) სერია „მგლის შვილები“.

როდესაც 1945 წელს წითელმა არმიამ აღმოსავლეთი პრუსია დაიპყრო, კონიგსბერგი მიწასთან გაასწორა და ათასობით ზრდასრული ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა, ძალიან ბევრი ობოლი დარჩა თავის ანაბარა და მათ საკვებისა და თავშესაფრის ძიებაში სხვადასხვა მეთოდების გამოყენება სჭირდებოდათ. ბევრი მათგანი ლიტვაში გადავიდა; აქ ისინი ერთი ფერმიდან მეორეში დადიოდნენ, საკვების მოსაპოვებლად მათხოვრობდნენ, ბანდებში ერთიანდებოდნენ, ტყეში იმალებოდნენ და საბოლოოდ „მგლის შვილების“ სახელი დაიმსახურეს. ამ უსახლკარო ბავშვებიდან რამდენიმე ლიტვურმა ოჯახებმა აიყვანეს და ფერმაში დამხმარე სამუშაოების შესრულება უწევდათ. ასეთ ოჯახებს ბავშვების გერმანული წარმოშობის დამალვა უწევდათ, რადგან მათთვის თავშესაფრის მიცემისთვის გადასახლება ემუქრებოდათ; შესაბამისად, ყველა მათგანმა ლიტვური სახელები მიიღო. დამოუკიდებლობის აღდგენამდე „მგლის შვილების“ არსებობას არავინ არც კი ახსენებდა. მხოლოდ 1990 წლის შემდეგ გახდა ცხადი, თუ რა მასშტაბების მოვლენასთან გვქონდა საქმე. 80-ზე მეტი „მგლის შვილი“ ჯერაც ლიტვაში ცხოვრობს. ხელოვანი ეშვება მათ წარსულში და აკვირდება მათ თანამედროვე ცხოვრებას; იგი აფიქსირებს და ამ კადრების მეშვეობით ცდილობს მსოფლიოს მტკივნეული ამბავი მოუყვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ახალი „კონსტიტუცია“

თბილისს მალე ახალი „კონსტიტუცია“ ექნება. კონკურსში გამარჯვებულმა გუნდმა წელიწად-ნახევარში მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმა უნდა წარმოადგინოს. კანონის ძალის მქონე დოკუმენტმა შემდგომ წლებში ქალაქგანვითარების წესები უნდა დაადგინოს - ნებისმიერი მშენებლობა, წამოწყება, ინვესტიცია, იდეა თუ სტრატეგია სწორედ ამ გენგეგმის შესაბამისი უნდა იყოს, მის მოთხოვნებს პასუხობდეს. თუმცა გამარჯვებული გუნდის მიმართ ბევრი კითხვა დაისმის, რომელთაგან უმთავრესი ისაა, იქცევა ეს გეგმა თბილისის განვითარების წინაპირობად თუ პირიქით, ხელს შეუშლის მას.

ეკა მაღალდაძე

„პანორამა თბილისი“, მირზა შაფის ქუჩის განვითარების პროექტი, 130 მეტრი სიმაღლის მშენებარე ნაგებობა იმელის შენობის უკან – ამ პროექტებს თბილისის მცხოვრებთა ნაწილი ქალაქის ისტორიული ზონისთვის შეუფერებლად, მეტიც მისთვის საფრთხის შემცველად მიიჩნევს, თუმცა იმელის შენობის უკან 35-სართულიანი სასტუმროს მშენებლობა ერთ წელიწადში უნდა დასრულდეს, მირზა შაფის ქუჩაზე 25 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის „სამეფო ბაღების“ განაშენიანების რეგულირების გეგმა საკრებულომ უკვე დაამტკიცა; „პანორამა თბილისისთვის“ საჭირო ტერიტორიებზე კი უკვე განთავსებულია ბანერები, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია.

ქალაქზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელი ხელოვნებათმცოდნე ცირა ელისაშვილი ამბობს, რომ ეს ის პროექტებია, რომლებიც ქალაქს ემუქრება და რომელთა შესახებაც ინფორმაცია მეტ-ნაკლებად მაინც გვაქვს, მაგრამ შესაძლოა არსებობდეს კიდევ სხვა მსგავსი დაგეგმილი პროექტებიც. ელისაშვილს ეჭვი ეპარება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გამარჯვებული გუნდი წარმოადგენს, იყოს ისეთი, როგორიც ამ რთულ ვითარებაში ქალაქს სჭირდება.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება-განახლების კონცეფციების შესარჩევად კონკურსი მაისში გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობა 11-მა საპროექტო გუნდმა მიიღო, მეორე ეტაპზე 6 მათგანი გადავიდა, საბოლოოდ კი პირველი სამი ადგილის მფლობელები გამოვლინდნენ.

გამარჯვებული იურიდიულ პირთა გაერთიანება „მომავლის ქალაქია“, რომლის შემადგენლობაშიც, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, რამდენიმე ქართული და საერთაშორისო ორგანიზაცია შედის. მათ შორის: ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“, „Albert Speer & Partners GmbH“, „Sàrl -Atelier Alfred Peter Paysagiste“, „Dr. BrennerIngenieurgesellschaft mbH“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, CENN - Caucasus Environmental NGO Network. კონსულტანტები: „Steinbeis Beratungszentren GmbH“, შპს „თბილისი ჯგუფი“ და „Fraunhofer“-ის ინსტიტუტი.

ელისაშვილი შიშობს, რომ თუკი აქამდე პრობლემური, ქალაქისთვის შეუფერებელი პროექტების განხილვისას ქალაქის ხელისუფლების მთავარი არგუმენტი გაუმართავი კანონმდებლობა და რეალობის შეუსაბამო გენერალური გეგმა იყო, ახლა ასეთი პროექტები შესაძლოა, კანონის ფარგლებში მოექცეს და „კანონიერი გახდეს“. შესაბამისად, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად სამართლებრივი ბერკეტები აღარ იარსებებს.

„თუ მანამდე რაღაც ირღვეოდა იმიტომ, რომ არ არსებობდა კარგი კანონი, ახლა გვიპასუხებენ, რომ ეს დარღვევა აღარაა და ის გენერალურ გეგმას შეესაბამება. ფაქტობრივად, კანონით დამტკიცდება ისეთი ოდიოზური პროექტები, როგორიცაა „პანორამა თბილისი“. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება. სამწუხაროდ, მსგავს დიდ პროექტებთან დასაპირისპირებლად სამართლებრივი არგუმენტები ვეღარ გვექნება“, – ამბობს ელისაშვილი.

ხელოვნებათმცოდნე განმარტავს, რომ მის ეჭვებს პარალელურად მიმდინარე პროცესებიც ამყარებს: უკვე დაწყებულია და ნოემბერში უნდა დასრულდეს მუშაობა ძველი თბილისის განვითარების კონცეფციაზეც, პროექტს განვითარების ფონდის დაკვეთით „ჯეოგრაფიკი“ ახორციელებს.

„ისეთ პირობებში, როდესაც დაკვეთა არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიის გადახედვა და გასაგებია, რომ სია გადაიხედება შემცირების და არა გაზრდის კუთხით; როდესაც საუბარია იმაზე, რომ ზონირების თვალსაზრისით თბილისის ისტორიული ზონის საზღვრები შემცირდეს და გადაიხედოს, საუბარია, დარჩეს თუ არა K 2 კოეფიციენტების ანუ სართულიანობის „ყიდვის“ შესაძლებლობა, ამ ყველაფრის ფონზე არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ ეს არ იქნება ქალაქის საჭიროებებზე მორგებული დოკუმენტი, ის მოერგება კონკრეტულ პირებს, ინვესტიციებსა და სურვილებს“, – ამბობს ელისაშვილი.

„კონკრეტულ ინვესტიციებსა და პირების სურვილებზე“ საუბრისას „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელი აქცენტს მეტწილად „პანორამა თბილისზე“ აკეთებს. ამ ეჭვებს კი გამარჯვებული კონცეფციის თანაავტორთა მოსაზრებები უღრმავებს. საქმე ისაა, რომ არქიტექტორმა მერაბ ბოლქვაძემ (გენგეგმის პროექტის თანაავტორმა) ჯერ კიდევ კონცეფციაზე მუშაობის დასრულებამდე ჟურნალისტებთან აღნიშნა, რომ სოლოლაკის ქედი, ადგილი სადაც „პანორამა თბილისის“ ერთ-ერთი ნაწილი უნდა აშენდეს, ისტორიული ზონა არ არის და ამ თემის ირგვლივ ვნებათაღელვა უსაფუძვლოა. კოჯრის ახალი გზის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის ავტორი გია ჭანიშვილიც ამბობდა, რომ საცხოვრებელ ზონაში განაშენიანების ცვლილება ყოველთვის შესაძლებელია. ჭანიშვილი გენგეგმის კონცეფციის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ნაწილის თანაავტორია.

„გუნდი, რომელიც ამბობს, რომ ისეთი ოდიოზური პროექტი, როგორიც „პანორამა თბილისია“, ქალაქისათვის სასურველი და მისაღებია, ბუნებრივად აჩენს კითხვებსა და ეჭვებს.ეს უკვე არის არაპროფესიული მიდგომა იმ საკითხის მიმართ, რომელზეც საჯარო ინტერესი ძალიან მაღალია. მერაბ ბოლქვაძისა და გივი შავდიას პოზიციები გასაგებია, ისინი ხომ „პანორამის“ პროექტის თანაავტორებიც არიან, მაგრამ ასეთი ქა-

მირზა შაფის ქუჩის განვითარების პროექტი, ესკიზი.
არქიტექტორული კომპანია DMARK

ოტური, გაუმართლებელი მშენებლობების კანონში მოქცევით ეს დოკუმენტი დააზარალებს მთელი ქალაქის განვითარებას", – განმარტავს ელისაშვილი.

ქართველ არქიტექტორთა ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, არქიტექტორი გიორგი მეძმარიაშვილი გენერალური გეგმის განახლების პროცესს ნაჩქარევს და გაუაზრებელს უწოდებს. მისი თქმით, იმ ფონზე, როდესაც წლების განმავლობაში ქალაქი ქაოსურად ვითარდებოდა, როდესაც თითოეული კონკრეტული ტერიტორიისთვის ფუნქციური ზონის და დასაშვები მოცულობის ცვლილება ხდებოდა, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლება შედეგს ვერ მოგვიტანს.

„როდესაც აბსოლუტურად განცალკევებულად მიმდინარეობს მუშაობა ძველი თბილისის განვითარების კონცეფციაზე, თბილისის გენგეგმაზე გამოცხადდა კონკურსი, შემდეგ კი – მთლიანად ქვეყნის სივრცით მოწყობაზე, შეუძლებელია ქალაქის განვითარების სწორი დაგეგმვა. ჩვენ არ ვიცით, რა გვინდა მივიღოთ ამ ქალაქისგან, არ შეგვიფასებია რეგიონების პოტენციალი, არ შეგვიფასებია ცალკეული უბნების შესაძლებლობები, ამ ფონზე ეს ყველაფერი, ცოტა არ იყოს, ფარსი მგონია", – ამბობს მეძმარიაშვილი.

„სტაბილურობიდან მდგრადობამდე" – „მომავლის ქალაქის ხედვა 2030" ექვსი ნაწილისგან შედგება – ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, ურბანული გეგმარება, ეკონომიკა, ურბანული ეკოლოგია, გეოსაინფორმაციო სისტემები, საინჟინრო ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და საზოგადოებრივი გეოგრაფია. თითოეული ნაწილი ამ სფეროს განვითარების ზოგად, სასურველ მიმართულებებს განსაზღვრავს.

გენგეგმის კონცეფციის ავტორთა აზრით, თბილისის კონკურენტუნარიანობის ზრდა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურია ინფრასტრუქტურა, რამდენად განვითარებულია საქალაქო მომსახურება, როგორია საცხოვრებელი გარემოს ხარისხი და მეორე მხრივ, შეუძლია თუ არა ფუნქციურად ქალაქს, გახდეს საერთაშორისო ბიზნესის განთავსების ადგილი, ინოვაციური საქმიანობის ცენტრი, საკომუნიკაციო ქსელის კვანძი, კულტურის საერთაშორისო ცენტრი თუ სხვა.

ყველაზე დიდი უკმაყოფილება არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ აქტივისტთა ჯგუფებში პროექტის ავტორთა ურბანული განვითარების ხედვამ გამოიწვია, რომლის თანახმადაც, პროცესი ჯენტრიფიკაციის გზით უნდა წარიმართოს. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ურბანული ფორმისა და

სტრუქტურის განვითარების ნაწილში ავტორები ამბობენ, რომ ქალაქი ისტორიული შრეების გარეშე არ წარმოადგენს განსაკუთრებული ინტერესის სფეროს.

„ქალაქის ცენტრალური ნაწილი უნდა განვიხილოთ და განვავითაროთ როგორც მრავალშრიანი „ტექსტი", რომელშიც ქალაქის არამატერიალური სიმდიდრე (ისტორიისა და კულტურის სახით) აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული ეკონომიკური მიზნებისათვის."

აქვე ვკითხულობთ:

„ძველი უბნებისა და ქალაქის ცენტრის რეგენარაციისა და მასში სოციალური შემადგენლის ცვლილება ჯენტრიფიკაციის ფორმატში უნდა წარიმართოს. თანამედროვე ევროპული ტრენდი „ახალი შუა საუკუნეები" ერთ-ერთი მიღებული პრინციპია ასეთი რეალებისათვის. აღნიშნული გულისხმობს შენობების შერეული ფუნქციებით დატვირთვას, ადამიანის თანაზომადი მასშტაბის გარემოს შექმნას. განაშენიანება უნდა იყოს დაბალ და საშუალოსართულიანი. მომავალი ეკუთვნის ჰუმანისტურ, სასიცოცხლო ენერგიით სავსე, მაღალი სიმჭიდროვის, განტვირთვისა და რეკრეაციის საშუალებებით დაბალანსებულ ქალაქებს და საქალაქო უბნებს. გარემოს ხარისხი და ქონების ღირებულება ასეთ უბნებში მნიშვნელოვნად იზრდება და მიმზიდველია ე.წ. „კრეატიული კლასისათვის".

ავტორების მტკიცება, რომ ჯენტრიფიკაცია თანამედროვე ევროპული მიდგომაა, გაუგებარია სხვა სპეციალისტებისთვის. ცირა ელისაშვილის განმარტებით, ჯენტრიფიკაციის დროს მკვიდრი მოსახლეობა ტოვებს საცხოვრებელ ადგილს, ამ შემთხვევაში ისტორიულ ქალაქს და მის ნაცვლად იქ შედის ახალი კაპიტალი და ფინანსურად უფრო მაღლა მდგომი ფენა.

გენგეგმის კონცეფციის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობაზე მიუთითებს ქალაქმგეგმარებელი ლუკა ბაქრაძეც. ბაქრაძე კონკურსში მონაწილე ერთ-ერთი პროექტის თანაავტორიცაა. მისი თქმით, პროექტი, რომლის მთავარი ხედვითაც, ქალაქი ჯენტრიფიკაციის გზით უნდა წავიდეს, გამორიცხავს იმას, რომ ამ პროექტს ხელს აწერდნენ უცხოელი ექსპერტები, რომელთაც პროექტის ავტორები ამაყად ასახელებენ.

ელისაშვილი შიშობს, რომ თუკი აქამდე პრობლემური, ქალაქისთვის შეუფერებელი პროექტების გასამართლებლად მთავარი არგუმენტი გაუმართავი კანონმდებლობა და რეალობის შეუსაბამო გენერალური გეგმის არსებობა იყო, ახლა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად სამართლებრივი ბერკეტები აღარ იარსებებს.

„ჯენტრიფიკაცია სოციალურად აბსოლუტურად არაჯანსაღი პროცესია. ეს გულისხმობს მოსახლეობის სეგრეგაციას ფინანსური ნიშნით, მდიდრებისა და ღარიბების უბნების ჩამოყალიბებას. ეს კი სწორედ იმ დროს, როდესაც მაგალითად გერმანიაში ქალაქგეგმარებისა და პოლიტიკის დონეზეც გაწერილია არაერთი ინსტიტუციური მექანიზმი იმისათვის, რომ ეს პროცესი როგორმე თავიდან იყოს აცილებული", – განმარტავს ქალაქმგეგმარებელი. ბაქრაძე ამბობს, რომ ქალაქგანვითარების თანამედროვე პრინციპები, მათ შორის გერმანიის სამოქმედო დოკუმენტები ეფუძნება „სათუთი განახლების" მიდგომას, რომლის ამოსავალი წერტილიც ადგილობრივი მოსახლეობის იმ ადგილას შენარჩუნებაა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ამასთან, ასეთი პროცესი ხანგრძლივ პერსპექტივაშიც შექმნის პრობლემას, რადგან ამ უბნებიდან განდევნილი მოსახლეობა კიდევ უფრო დაბალფასიან უბანში გადასახლდება, სადაც გაიზრდება კრიმინალის რაოდენობა და საბოლოოდ ეს ქალაქს ბევრად მეტი დაუჯდება.

რამდენად ეთანხმებიან გერმანელი ავტორები ქართულ გენგეგმაში წარმოდგენილ ჯენტრიფიკაციის მოდელს – ამ კითხვით „ლიბერალმა" Albert Speer & Partners GmbH-ს წერილობით მიმართა, სტატიის მომზადების პროცესში პასუხი არ მიგვიღია.

„ხედვა 2030" სატრანსპორტო პრობლემასაც ვრცლად განიხილავს. ავტორებს უმთავრეს გამოწვევად ტრანზიტული მოძრაობა მიაჩნიათ, ცენტრის ფუნქციონირების გაუმჯობესების აუცილებელ პირობად – სწორედ ტრანზიტის შეზღუდვა და ქალაქის ცენტრიდან რკინიგზის გატანა. დოკუმენტის თანახმად, არსებული მაგისტრალი უაღრესად ართულებს შიდა საქალაქო კავშირებს, სარკინიგზო მომსახურების ობიექტები კი განლაგებულია ქალაქის მეტად ღირებულ ტერიტორიებზე და ამ მიზეზების გამო ქალაქის ცენტრიდან რკინიგზის გადატანაზე საუბრის განახლება აუცილებელია.

ლუკა ბაქრაძისთვის ეს აზრიც მიუღებელია, მისი თქმით, მაშინ, როდესაც ყველა ევროპული ქალაქი ცდილობს, სარკინიგზო ტრანსპორტზე გადავიდეს, მოხერხებულობის, ეკოლოგიურობისა და ხელმისაწვდომობის გამო, გაუგებარია, რატომ მიაჩნიათ პროექტის ავტორებს გამოსავლად ქალაქის ცენტრიდან რკინიგზის გატანა.

ცირა ელისაშვილი კი ფიქრობს, რომ გენგეგმის ზოგიერთ ნაწილზე კამათი და კონსენსუსი შესაძლებელია, მაგრამ ჯენტრიფიკაციის დადებით ტენდენციად განხილვა წარმოუდგენელია:

„არჩევანი, რომლითაც ამ გუნდმა გაიმარჯვა, შეიძლება ქალაქს დიდ პრობლემად ექცეს".

წართმეული ტროტუარი

ერეკლე ურუშაძე

თბილისის ქუჩების უმეტესობაზე ტროტუარისა და მანქანების სავალი ნაწილის სიგანეს თუ შევადარებთ, ცხადი გახდება, რომ მძღოლებს საერთო სივრცის არაპროპორციულად დიდი ნაწილი უჭირავთ ქვეითებთან შედარებით.

მაგრამ როდესაც მძღოლები ამითაც არ კმაყოფილდებიან და ტროტუარსაც იკავებენ, ისინი ამბობენ: შენთვის გამოყოფილი სივრცის ეს მცირე ნაწილიც მე უნდა წავიღო, შენ კი საერთოდ ნუ გამოხვალ ქუჩაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეატრი, როგორც სივრცე ფსკერსა და ქარიშხალს შორის

ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ფოტო: გია გოგატიშვილი



„ააში", ქორეოგრაფი აკრამ ხანი

„ადამიანთა ურთიერთობების, პოლიტიკური სისტემის, საზოგადოების წესრიგისა თუ უნესრიგობის ამსახველი თეატრი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს – ჩვენთვის, ვინც სამყაროს დასასრულის შემდეგ დავიბადეთ; ვინც შეირაღებული კონფლიქტებისა და დანაშაულის პირისპირ ვცხოვრობთ. კონფლიქტების, რომლებიც ისეთი სისწრაფით ფეთქდება, რომ ყოვლისშემძლე მედიაც ვერ ასწრებს მათზე რეაგირებას...

თუმცა ისინი ასევე ჩქარა ხდება პრესისთვის უინტერესო და სამუდამოდ ქრება ჩვენი თვალსაწიერიდან. ჩვენ კი, უნიათოები და შეშინებულები, ვგრძნობთ, რომ ბაფანგში ვართ მომწყვდეულები, რადგანდიადი კოშკების აგება აღარ შეგიძლია – კედლები, რომლის აღმართვასაც ძალუმად ვცდილობთ, არაფრისგან აღარ გვიცავს. პირიქით, ისინი თავად მოითხოვენ ყურადღებასა და დაცვას – და ეს წარმოუდგენელ სასიცოცხლო ენერგიას გვართმევს. იმის ძალაც კი აღარ შეგვწევს, რომ ამ კედლებს მიღმა გადავიხედოთ და ადამიანები დავინახოთ.

თეატრი მხოლოდ ამისთვის უნდა არსებობდეს და სასიცოცხლო ძალით იკვებებოდეს – ჩაგვახედოს იქ, საითკენაც მიბრუნება, მზერა აკრძალულია?!"...

– ეს თანამედროვე პოლონელი რეჟისორის, კშიშტოფ ვარლიკოვსკის მიმართვის ფრაგმენტია, რომელიც მან მედიას თეატრის საერთაშორისო დღეს, 27 მარტს გაუზიარა. ის პიტერ ბრუკისა და ჟორჟო სტრელერის მსგავსად, რაღაც სრულყოფილ, პერფექციულ თუ მოულნელველ თეატრს ეძებს, რომელიც სიმართლის ნიღაბი იღებს სათავეს და შეუცნობადში, უსასრულობაში იკარგება... მაგრამ ძნელია, დღეს ასეთი რთული ნიღსცლებით მონუსხო ათასგვარი პრობლემით დამძიმებული მაყურებელი. მას მსუბუქი და „თერაპიული თეატრი" თუ სახალისო მოუ უფრო ურჩევნია.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელიც ნელს უკვე მეშვიდედ გაიმართა (და საოცარი სუფაც არ არის, რომ ისევ ფინანსური პრობლემებით), თითქოს შეეცადა სწორედ მოუღნეველ ესთეტიკურ უსასრულობასა და მსუბუქ, მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ სანახაობებს შორის დაეცვა ბალანსი.

ერთი მხრივ, ასე ვთქვათ, „ჩემპიონთა ლიგა" – სახელოვანი რუმინელი ესთეტი-რეჟისორის, სილვიუ პურკარეტეს მიერ შექსპირის ყველაზე მისტიკური პიესის, „ქარიშხლის" ინტერპრეტაცია კრაიოვას სახელმწიფო თეატრში; ბერლინის სახელოვანი „შაუბიუნე" და ახალგაზრდა ევროპელ რეჟისორებს შორის გამორჩეული ლიდერი – ტომას ოსტერმაიერი (იბსენის „ხალხის მტერის" გამორჩეული, ბრწყინვალე და ღამის სოციალურ-ეკოლოგიური ინტერპრეტაციის); ბრიტანელი ჯადოქარი, ინდური ფესვებით – ქორეოგრაფი აკრამ ჰანი, რომლის „კაში" ღამის თანამედროვე ქორეოგრაფიის სახელმძღვანელოებში შედის და ლიტველი რეჟისორის, ოსკარას კორშუნოვასის ღამის ფიზიოლოგიურ-სოციალური აქცენტებით დადგმული „ფსკერზე" (მისი „ჰამლეტი" და „რომეო და ჯულიეტა" თეატრალური ფესტივალის ერთგულ მაყურებელს, ალბათ, ყოველთვის ემახსოვრება)...

მეორე მხრივ – საინტერესო დასი ისრაელიდან, სახელწოდებით, „ინკუბატორი", რომლის კრიმინალური მოუზიელი „ქალაქი" – ცოცხალი მუსიკით, ებრაული რეპით და ჰოლივუდის კლიშეების ირონიული გაზრდილი, ერთობ სახალისო იყო; ბრიტანული სპექტაკლი „ღმერთები

„ხალხის მტერი", რეჟისორი ტომას ოსტერმაიერი

„ქარიშხალი", რეჟისორი სილვიუ პურკარეტე

დაეცნენ, ვინღა დაგვიცავს" (რეჟისორი სელმა დიმიტრიევიჩი), რომელმაც კამერული სივრცის, ბრიტანული სამსახიობო სკოლისა (მსახიობები – შანან კემპბეილი, და სკოტ თარნბული) და მელოდრამების გემო ერთდროულად გვგაგრძნობინა; გერმანიაში მცხოვრები ქართველი ქორეოგრაფისა და მოცეკვავის, თეა სოსანის მულტიმედიურ-ქორეოგრაფიული სპექტაკლი „გაქვავებული", რომელშიც მარტოსული ქალებისა და მამაკაცების სხეულთა მღელვარებას, მათ მარტოობას უფრო ამოიკითხავთ, ვიდრე ქორეოგრაფიულ სიახლეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს პროგრამა NEW („ახალი"), რომელიც თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე გარკვეულ ექსპერიმენტულ არტპლატფორმად ჩამოყალიბდა, როგორც ახალგაზრდა რეჟისორებისა და მსახიობების, ისე შედარებით გამოცდილი თეატრალური კომპანიებისთვის. წლევანდელ ფესტივალზე ეს პროგრამა ოთხი რადიკალურად განსხვავებული სპექტაკლით იყო წარმოდგენილი:

„ბილგამში" (თეატრი „ქორეა", პოლონეთი; კომპოზიტორი – ტომაშ კრეტინოვსკი. უცნაური, მაგრამ შთამბეჭდავი კონცერტი-წარმოდგენა გუნდის, ჯაზისა და სიმებიანი კვარტეტისათვის);

ჩეხოვის ადრეული პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „მამის გარეშე" (მოსკოვის თეატრი „სფერო"; რეჟისორი – ვლადიმერ სმირნოვი, მხატვარი და სცენოგრაფი – დმიტრი რაზუმოვი);

„მარია დიდი ქალაქიდან" (საკონცერტო-თეატრალური წარმოდგენა, რომელიც ეფუძნება „ტანგოს მეფის" – ასტორ პიაცოლას ტანგოს მოტივებზე შექმნილ სიმღერებსა და ოპერას, სახელწოდებით „მარია ბუენოს აირესიდან");

„სასონარკვეთილების ზღვარზე" (ნორვეგიული საცეკვაო თეატრის პერფორმანსი, რომელიც „ფიზიკური თეატრის" ტიპური ნიშანია და რომელშიც მხოლოდ მამაკაცი მოცეკვავეები მონაწილეობენ; რეჟისორი და ქორეოგრაფი კარი პოასი).

სხვათა შორის, ფესტივალზე კრეტიკოსთა სპეციალური პრიზი პროგრამა NEW-ზე წარმოდგენილ სპექტაკლებს შორის, სწორედ ნორვეგიელ „სასონარკვეთილ", მაგრამ ზედმეტად ათლეტურ მოცეკვავეებს ერგოთ.

გასაგებია, რომ ვრცლად ყველა სპექტაკლის შესახებ შუძლებელია საუბარი, ამიტომ ისევ „კარგი რეჟისორების ლიგით" შემოვიფიწარეალთ. თეატრალები, მართლაც, სულმოუთქმელად ელოდნენ ოსაკაარას კორშუნოვასის სპექტაკლს, რომელიც გორკის „ცვიდოლ" – პიესას „ფსკერზე" (მხოლოდ მეოთხე აქტი) ზედმეტად სოციალურ და დეპრესიულ აქციად განიხილავს. ალბათ, ამიტომაც, მაყურებელი ოდნავ იმედგაცრუებული დარჩა. სხვათა შორის, ფსკერის მობინადრენი არა მარტო თავად სვამენ, მაყურებელსაც სთავაზობენ (თანაც, ნამდვილად არაყს!)

კორშუნოვასის ადრინდელი სპექტაკლების სივრცე, სიჩრელე-სიანცე და უკიდურესობანი თითქოს სადღაც გაქრა. ის ფიზიოლოგიურ-კამერულმა გარემომ შეცვალა, რომელშიც გორკის პიესის ნატანჯი პერსონაჟების სურვილებს არყის ბოთლებითა და ახლო ხედით შეიცნობთ.

იმის გამო, რომ პიესის მხოლოდ მეოთხე აქტი თამაშდება, ერთსაათიანი წარმოდგენა რაღაც უიმედო აბსურდის შთაბეჭდილებას ტოვებს. გეგონებათ, ბეკეტის „ბოდოს" თუ „კრეპის" თემაზე შექმნილ სპექტაკლს უყურებთ. ამგვარ შთაბეჭდილებას აძლიერებს ტექსტიც: თითქმის ყველა პერსონაჟი საუბრობს მოხუცზე (ლუკაზე), რომელიც გორკის პიესის მეოთხე აქტში უკვე ალარ ჩანს და რომლის ციტატებს („აუცილებელია, პატივი ვცეთ ადამიანს", „არ გაანაწყენოთ ერთმანეთი", „ადამიანი – ამაყად ეღერს") „ფსკერის" მონაფეცები ქრისტეს მოწაფეებივით ინანილებენ.

უკვე რამდენიმე წელია, კორშუნოვასი თეატრის მნიშვნელობას უკიდურეს სოციალურობაში, ჩალრმავებასა და რეფლექსიაში ხედავს. ამიტომაც რამპის ელვარე ჩირაღდნები და სანაბაობა სრულიად შეგნებულად გაიცვალა გააზრებულ ესთეტიკურ მინიმალიზმზე. როგორც ჩანს, იქ, ფსკერზე სიტყვა „ადამიანი" უფრო შემზარავად ეღერს, ვიდრე ამაყად.

სილვიუ პურკარეტის „ქარიშხალმა" ევროპული თეატრალური ფეს-

ტივალები წარმატებით დალაშქრა. ვფიქრობ, რეჟისორთან ერთად, ეს სპექტაკლის მხატვრისა და სცენოგრაფის, დრაგოშ ბუჰაგიარის დამსახურებაცაა. შთამბეჭდავი მხატვრობა, კლასიკური ფერწერული განათება და ქაღალდის ფაქტურის კოსტიუმები უფრო საოპერო დადგმის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს შემთხვევითი სრულებით არ არის, რადგან პურკარეტე, კარგა ხანია, თანამედროვე საოპერო რეჟისორებს შორის, მართლაც, გამორჩეული პერსონაა (პუჩინის „ბოჰემა“ – ესენის საოპერო თეატრში, ვაგნერის „პარსიფალი“ – შოტლანდიის ნაციონალურ ოპერაში, დონიცეტის „რობერტო დევერე“ – ვენის „შტატსოპერაში“).

შთამბეჭდავი გამომსახველობა, ჯადოსნური, მომნუსხავი, შენელებული რიტმი გვიბიძგებს, „ქარიშხალი“ აღვიქვათ მისტიკურ დრამად, რომელიც პროსპეროს სიზმარს ჰგავს, უფრო ზუსტად, მისი ფანტაზიით მოთხრობილ სცენურ ამბავს. ჩვენ ნაქსოვი ვართ სიზმრისეულ ნივთიერებით“ – ცნობილი ფილოსოფიური მონოლოგი ფინალში თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ ის სპექტაკლის მთავარი საყრდენია, ჩონჩხი, რომელსაც იდეალურად ერგება სპექტაკლის ხილული-სიზმრისეული ფორმა. პროსპეროს ქალიშვილს, მირანდასა და პროსპეროს მონას – კალიბანს, ერთი და იგივე მსახიობი, ადრიან ანდონე თამაშობს და ესეც გარკვეულწილად, მისტიციზმის ირონიული ნაწილია.

პურკარეტე თითქოს შორეულად ეხმიანება ჯორჯო სტრელერის იდეას, რომელმაც 70-იან წლებში დადგმულ „მეფე ლირში“ მასხარისა და კორდილიას როლი ერთსა და იმავე მსახიობს, ოტავია პიკოლოს მიანდო. როლებით უსასრულო თამაშში, სქესთა გაცვლაში, ადამიანებისა და მისტიკური არსებების, მტრებისა და მეგობრების აღრევაში იკითხება დასასრულის, პატიებისა და აპოკალიფსის თემები (აღსანიშნავია, რომ „ქარიშხალი“ არის შექსპირის უკანასკნელი, 37-ე პიესა). და ამდენად, მთლიანობაში, პურკარეტეს სპექტაკლი ჟღერს, როგორც სამყაროსთან შერიგება.

ადამიანის მუდმივი ტრანსფორმაცია და სამყაროსთან ჰარმონია, დიდი ხანია, სახელოვანი ქორეოგრაფის, აკრამ ჰანის მთავარი თემაა. ბრიტანეთში მცხოვრები მოცეკვავე და ქორეოგრაფი თავისი კრეატიულობითა და უშუალობით მაგნიტივით იზიდავს მსოფლიოში ცნობილ ხელოვანებს. მაგალითად, ჩინეთის ნაციონალური ბალეტის დასს, მსახიობ ჟულიეტ ბინოშს (რომელთან ერთადაც ცეკვავდა კიდეც), „გრანდ ოპერის“ სახელოვან პრიმას, სილვი გილემს, მაროკოელ ქორეოგრაფსა და მოცეკვავეს, სიდი ლარბი ჩერკაუის, ცნობილ პოპ-მომღერალ კაილი მინოუგს, ცნობილ მხატვარსა და არქიტექტორს, ანიშ კაპურს....სწორედ ანიშ კაპურმა შექმნა აკრამ ჰანის სპექტაკლის – „კააშის“ სცენოგრაფია და მხატვრობა.

მთელი სპექტაკლის განმავლობაში ძლივს ხედავთ მქრალად განათებულ ხუთ მოცეკვავეს, რომელთა მოძრაობები ხან იკარგება და ხან მძაფრდება შავი კვადრატის ფონზე. მათი უსაზღვრო პლასტიკური შესაძლებლობები შემოფარგლულია უამრავჯერ გამეორებული მოძრაობებით, უწესო გეომეტრიით, რომელსაც ასევე ემატება ინდური მუსიკა და კომპოზიტორ ნათინ სავჰნის ჰარმონიები. როგორც ბრიტანული პრესა აღნიშნავდა, „კააში“ ბრწყინვალე, უხმაურო და ნატიფი ქორეოსანახაობაა ინდურ ღმერთებზე, ინდური დროის ციკლებზე, მისტიკურ ცხოველებზე, მათ შექმნასა და განადგურებაზე“.

სხეულთა მოდულაცია სცენურ დროსა და სივრცეში ისეთი ზუსტია და მომნუსხველი, რომ ლამის ტრანსში ვარდებით და გახსენდებათ ყველაზე ტკბილი მოგონებები, რომლებიც შესაძლოა სულაც არ უკავშირდებოდეს ცეკვის ხელოვნებას. 2002 წლიდან, როდესაც „კააში“ პირველად წარმოადგინეს, უკვე დიდი დრო გავიდა (აღსანიშნავია, რომ მაშინ თავად აკრამ ჰანიც მონაწილეობდა სპექტაკლში). ორი წლის წინ აღდგენილი ვერსია ახალ იდეებსა და ახალი თაობის სათქმელს უკავშირდება: რა კავშირია აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს შორის? სად იწყება და სად მთავრდება ცეკვის საზღვრები? როგორია თეატრის პერსპექტივა ახალი მიგრაციისა და პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე?

ეს კითხვები არანაკლებ საინტერესოა ფესტივალის კიდევ ერთი საპატიო სტუმრის, ცნობილი გერმანელი რეჟისორის, ტომას ოსტერმაიერის სპექტაკლის კონტექსტში. 24 წლის ასაკში ოსტერმაიერი უკვე აღიარებული რეჟისორი იყო. მის მიერ დაარსებულ პატარა, ანარქიული სულისკვეთების თეატრში, სახელწოდებით, Baracke, იმდენი რამ ხდებოდა, რამდენიც მთელ გერმანულ თანამედროვე თეატრში ერთად აღებული. როდესაც ოსტერმაიერი 2000 წელს 31 წლის ასაკში ბერლინის თეატრ „შაუბიუნეს“ ინტენდანტი გახდა და ამ თანამდებობაზე სახელოვანი პეტერ შტაინი შეცვალა, პრესა ლამის საგანგაშო სტატიებს აქვეყნებდა. თუმცა სარა კეინისა და მარიუს ფონ მაიენბურგის პიესების დადგმის შემდეგ, იგივე პრესა ოსტემაიერს ლამის ევროპის ყველაზე ავანგარდისტ რეჟისორებს შორის მოიხსენიებდა.

დღეს ის ავინიონის, ედინბურგის, ვენისა თუ ბერლინის ფესტივალების სასურველი სტუმარი და არა-

„ფსკერზე“, რეჟისორი ოსკარას კორშუნოვასი

ერთი პრესტიჟული თეატრალური ჯილდოს მფლობელია. ამდენად, ოსტერმაიერის ჩამოსვლა თბილისის თეატრალურ ფესტივალზე და სპექტაკლ „ხალხის მტრის“ შემდეგ დიალოგი მაყურებელთან ფესტივალის მთავარ მოვლენად იქცა.

...დანაწევრებული შავი, გიგანტური კუბი თუ ოთახი, რომელიც ექიმ სტოკმანის კაბინეტიცაა, გაზეთ „სახალხო მაცნეს“ რედაქციაც და პოლიტიკური დებატებისთვის საჭირო სივრცეც ფინალში უკვე საკმარისი იქნებოდა სპექტაკლის წარმატებისათვის (სცენოგრაფია და მხატვრობა იან პაპელბაუმი). ცარცით მოხატული შავი კედლები კონცეპტუალურ ნამუშევარს და საბავშვო ოთახს ერთდროულად ჰგავს. კედლებს ხან შლიან, ხან გადაღებავენ და ხანაც ახალ ნახატებს ამატებენ; ფინალში კი საღებავებს ესვრიან.

ოსტერმაიერი ოსტატია და ეს მხოლოდ ალიტერაცია არ არის. ის ახერხებს, მეცხრამეტე საუკუნის ბილოს დაწერილ იბსენის პიესაში ერთდროულად ამოიკითხოს სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური და ოჯახური დრამა. თანაც ისე, გეგონებათ, ახლახან დაწერილ ტექსტს უსმენ. ექიმ სტოკმანის ინტერაქციული დიალოგი მარჯანიშვილის თეატრის დარბაზში და მისი ანტიბურჟუაზიული მონოლოგი უფრო ლიბერალური უმრავლესობის გამათრახებაა, ვიდრე რადიკალი მემარცხენეების მხარდაჭერა. თუმცა მომხმარებლური საზოგადოებისა და მსხვილი კომპანიების კრიტიკა დროდადრო ირონიულად ჟღერს.

სტოკმანი ლამის სიტყვასიტყვით იმეორებს ლეონიდ ბრეჟნევის დოქტრინას, რომ „ეკონომიკა უნდა იყოს ეკონომიური“... მაგრამ რეჟისორი სტოკმანს არ იცავს, არც მის მტაცებელ, ბურჟუა ძმას, არც გაზეთის უპრინციპო რედაქტორს, არც ჟურნალისტ ბილინგს, არც მოქალაქეებს, არც სტოკმანის მეუღლეს...ის თანამედროვე მომხმარებლური საზოგადოების დაუნდობელ, შეუნიღბავ სურათს ქმნის, რომლის ფონზეც სტოკმანის ბინის შავი კედლებიც და საღებავით მოთხვრილი რედაქციაც წვრილმანებად აღიქმება.

ასე რომ, ტომას ოსტერმაიერს თავისუფლად შეუძლია პატივცემული კოლეგის, კშიშტოფ ვარლიკოვსკის სიტყვები კიდევ ერთხელ გაიმეოროს. მომავალ თეატრალურ ფესტივალამდე, რადგან იმედია, კედლებს მიღმა ადამიანებს კიდევ დავინახავთ!

ფოტო: ალვინ ბაბალიანი

„ჩემი სახლი“ – გუკა შუბლაძე

მე ვარ ამ სახლის პატრონი და მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად ძლივს მივაღწიე იმას, რომ გაამაგრონ მაინც. ახლა ამაგრებენ. სამწუხარო ისაა, რომ გამაგრების შემდეგ მთლიანად ნაცრისფერი იქნება. ხის ჩუქურთმებს, რა თქმა უნდა, ხელს არ კიდებენ. როცა ჩვენ თავად გვინდოდა მისი რესტავრაცია, უარი გვითხრეს იმ მიზეზით, რომ ის ძეგლთა დაცვის საკუთრება იყო.

ძალიან მიხარია, რომ ასეთ ინტერესს იწვევს ჩემი სახლი. რომ იცოდეთ, რამდენი ბრძოლა მაქვს გადატანილი მის შესანარჩუნებლად, ალბათ უფრო შეგიყვარდებოდათ. ახალი ემიგრირებული ვარ გერმანიაში და თუ შესაძლებლობა მომეცა, აუცილებლად გავარემონტებ ისე, როგორც ეს ამ ღირსეულ ქალბატონს შეეფერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი მორჩილაძე

ასი მილიონი

გიჰვანქა სტეჰლინგით შოჰს

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

"სჯს ორგანიზაციული სტრუქტურები"

დაგეხმარებათ

მენარმეებს, საშუალო და მსხვილი ორგანიზაციების მენეჯერებს

სწორად სტრუქტურირებული ორგანიზაციით

მიიღოთ სიამოვნება მართვისგან

სინერჯი
ინგლისურენოვანი ბიზნეს სკოლა
www.synergy.ge